# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1 ლარი

№110 (9790) 2024 წლის 25 სექტემბერი. ოთხშაბათი




პეტრე მამრაძე:

## „იდიოტები თეთრ სახლში,“

სწორედ ასე აფასებდა ჰემინგუეი შტატების ადმინისტრაციას

4



თენგიზ შარმანაშვილი:

## აშშ ივანიშვილს სანქციებით ემუქრება!

5

## თუ ასე გაგრძელდა, ევროპის ეკონომიკა ჩამოიშლება!

8



მარიო დრაგი

### ბადრი ქუთათელაძე

* * *

სამყარო ისევ,
ისევ მოძრაობს...
ისევ გვაფიქრებს
და არ მთავრდება...
ლოცვებს კითხულობს
ჩვენი მოძღვარი
და გოგონები
დგანან სანთლებად.



7

## ქართული კულტურის რაინდი



სექტემბერი, 2024.
ქართველები ლევილის მამულში

## პატარა ლევილის ალორძინება დიდი საქართველოს ევროპულობას ნიშნავს!

3

## კალმოსან — ოლიმპოსანი

### ემზარ ზენაიშვილი

გედნიერები ხართ, რომ ქართულ სპორტს ისეთი თავდადებული მუშაკი, ქვეყნის პატრიოტი, მშრომელი და ღირსეული მამულიშვილი ჰყავს, როგორიც ემზარ ზენაიშვილია. ჭეშმარიტი სპორტის კაცი, თავმდაბალი და ყურადღებიანი კოლეგა.

პატრიკ ჰიკა



10

## კახა კალაძე: ოპოზიციის რადიკალიზმი განწირულია მარცხისთვის!

6



საზოგადოება ქართული

6

## ...ეს არ არის დემოკრატია, არც კანონიერება და არც სამართლიანობა, ვერც ვერავინ მოგვყიდის ამ ანტიდემოკრატიულ და უსამართლო ქმედებებს ასეთად.



ირაკლი კობახიძე გაეროში

23 სექტემბერს გაეროს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტიერეშს შევხვდი.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშვიდობის მნიშვნელობას. აღინიშნა საქართველოს ნვლილი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

გენერალურ მდივანს საქართველოს მრავალწლიანი მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადე.

საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანი ძალისხმევის მნიშვნელობას მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევების ეფექტიანად დაძლევის პროცესში.

ასევე, გაეროს საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი დავტოვე.

**ირაკლი კობახიძე**

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მომავლის სამიტზე

**ბატონო პრეზიდენტო!**
**ძვირფასო სტუმრებო!**

სამი წლის წინ გაეროს გენერალურმა მდივანმა შემოგვთავაზა მომავლის სამიტის ჩატარება, რომლის მიზანი იყო გლობალური კონსენსუსის მიღწევა უკეთესი აწმყოსა და შემდგომი თაობებისთვის უფრო დაცული მომავლის შესაქმნელად. დღეს ეს ხედვა რეალობად იქცა, რასაც მოწმობს ჩვენი დღევანდელი შეკრება, რათა აღვადგინოთ ნდობა და ვიპოვოთ გადაწყვეტილებები უკეთესი მომავლისთვის.

თანამედროვე სამყაროში, რომელიც უფრო კომპლექსური და სწრაფად განვითარებადია, სამართლიანი მომავლის მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენს წინაშე უპრეცედენტო გამოწვევებია, პანდემიის შედეგებიდან დაწყებული, კონფლიქტებითა და სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებით დამთავრებული.

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებამ აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მხოლოდ 17%-ია მიღწეული, რაც ჩვენგან მეტ აქტიურობას მოითხოვს. ამ კონტექსტში, მომავლის სამიტი უნიკალური შესაძლებლობაა გლობალური თანამშრომლობისა და მულტილატერალიზმის ძალის საჩვენებლად. საქართველო მზადაა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად იმუშაოს ამ მიზნების მისაღწევად, რათა შესრულდეს 2030 წლის მიზნები.

მომავლის პაქტი გვაძლევს შანსს, სამიტის წარმატება მნიშვნელოვან ცვლილებებად ვაქციოთ, რაც მომავალ თაობებს უკეთეს მომავალს მოუტანს. ჩვენ მივესალმებით პაქტის დამტკიცებას და ველით მის სწრაფ განხორციელებას.

მშვიდობა და უსაფრთხოება აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. პაქტი გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს, რაც გაეროს წესდების პრინციპებზეა დაფუძნებული. ასევე, ციფრული შეთანხმება იქნება გეგმა ღია და უსაფრთხო ციფრული მომავლისთვის, სადაც ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის უფლებების დაცვასა და გლობალურ კეთილდღეობას მოემსახურება.

გვჯერა, რომ ჩვენი პოლიტიკის ჩარჩოებში აუცილებელია მომავალი თაობების შეხედულებების გათვალისწინება, რათა ჩვენი ქმედებების გრძელვადიანი ზემოქმედება იქნას გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი. მომავალი თაობების შესახებ დეკლარაცია აუცილებელია იმისთვის, რომ მათი ხმა იქნას გაგონილი და მათი ინტერესები იყოს დაცული.

**ამ სამიტმა შექმნა პლატფორმა საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ახლა მთავარი ამოცანა იქნება ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელება და უკეთესი ხვალინდელი დღის შექმნა.**

**გუშინ საქართველოს პრემიერს საქმიანი შეხვედრები ჰქონდა, დღეს, 25 სექტემბერს კი ირაკლი კობახიძე სიტყვით მიმართავს გაეროს სესიაზე მიწვეულ მსოფლიო ლიდერებს.**

# რა უნდათ, რას გვერჩიან?

**რა უნდათ ამ დასავლეთელ პოლიტიკოსებს, დიპლომატებს, „ზეპური საზოგადოებების“ წარმომადგენლებს!.. რას გვერჩიან. ჩვენ აღმოსავლეთით, ამიერკავკასიაში ვცხოვრობთ და ევროკავშირში, ლიბერალურ დემოკრატიაში გვინდა ყოფნა, რის საყრდენს, ფუნდამენტს ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს. თუმცა, დასავლეთშიც არის ხალხი, კონსერვატიული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც არ მოსწონთ ლიბერალური დემოკრატიის ზოგიერთი ღირებულება, მაგრამ ამის გამო არავის უთქვამთ მათთვის, რომ ისინი „რუსეთუმეები“ არიან და რუსეთი უნდათ.**

საქართველო ძველი ქრისტიანული მართლმადიდებელი ტრადიციების მატარებელი ქვეყანაა. ხალხი ძირითადად კონსერვატიულ ტრადიციულ ცხოვრების წესს მისდევს. ამიტომ, როცა ქვეყნის საბოლოო მოწყობაზეა ლაპარაკი, ჩვენთვის რა უფრო კარგი და მისაღებია, ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და სხვას გარედან არაფერი არ ეკითხება.

თუ „ჭკუის სწავლება“ გინდათ, ღრმად ჩაიხედეთ საქართველოს ისტორიაში, მის კულტურულ ღირებულებებში და მერე გველაპარაკეთ! ვინც გონების თვალით წარსულში არ იხედება, ის უკეთეს მომავალს ვერ ააშენებს!



**ბონდო ქობულია,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# ეს პოლიტიკოსები ჩვეულებრივი ნაძირალები ყოფილან...“

**– ჭეშმარიტი ჯენტლმენი მუდამ მთავრობის ოპოზიციაში უნდა იყოსო, – ამბობენ ინგლისელები, რომელთაც სხვათაგან არც დემოკრატიისა ესწავლებათ, არც გამორჩეული თავაზიანობისა. ამდენად, სულაც არ იქნებოდა ურიგო, რომ ევროპელობის პრეტენზიის მქონე კავკასიაში დაბადებულ-გაზრდილ ამჟამინდელი მთავრობის ქართულ ოპოზიციონერთა ზოგ-ზოგ ლიდერს, მთლად დემოკრატიის ჩირაღდანი კი არ ენთოს გულში, პაწაწინა სანთელი მაინც უბჟუტავდეს, „ჯენტლმენობაზე“ კი ლაპარაკიც ზედმეტია – ოღონდ ელემენტარული ზრდილობა მაინც ჰქონდეს შერჩენილი!..**

წინამდებარე პუბლიკაციით არც ვინმეს ლანძღვას ვაპირებ, არც ვინმესთვის თავის მოწონებას ვცდილობ, მაგრამ რამდენიმე ტელეარხის ეკრანის ზოგიერთი „მუდმივი ბინადრის“ ბოლოდროინდელი თავხედობა და თავგასულობა ყველა საზღვარს გასცდა, რაც დღითიდღე სულ უფრო მეტად ძაბავს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ისედაც დაძაბულ პოლიტიკურ გარემოს, რაც მხოლოდ ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს აწყობთ.

პოლიტიკური ბატალიების გარჩევა, მათში მონაწილე პერსონაჟების შუქ-ჩრდილების განხილვა დიდად არასდროს მიზიდავდა, მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, მუდამ გამაჩნდა და ახლაც მაქვს საკუთარი პოზიცია და სიმპათია-ანტიპათიები. ჰოდა, სწორედ ამიტომაც, მინდა თუ არა, იძულებული ვარ ვაღიარო, რომ თავისუფლების მოპოვების მომენტიდან მოყოლებული, საქართველოს ნებისმიერი „ჩამოსხმის“ ხელისუფლება, მთავრობის ოპოზიცია, არსებითად, არც ფერს იცვლის, არც ზნეს, რისი მიზეზი, ვფიქრობ მისი უცვლელი სოციალური სტატუსია. ეს კი, პირველ ყოვლისა, ქონებრივად მის ფინანსური შესაძლებლობების საშუალოზე მაღალ დონეს ემყარება. ჩვენებური ბურჟუაზიის, მათ შორის, მე-20 საუკუნის მიწურულის პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და ეგრეთ წოდებული „წითელი ინტელიგენციის“ „ნაღების“ მთავარი მისწრაფება კი რაც შეიძლება მეტი მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭაა: გაიხსენეთ, სიმბოლურ 1 ლარად ქვეყნისა და ხალხის წინაშე გამორჩეული დამსახურებისთვის“ მიღებული ძვირადღირებული ავტომანქანები, პრესტიჟული აგარაკები, საუკეთესო ბინები, აწ უკვე დიდების ძველებურ შარავანდედს მოკლებული ოდესღაც პრესტიჟული პრემიები და სხვა.

რა ზნეობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა საქმე ეხება ისეთ პირებს, ვინც ტოლს არ დაგიდებთ ერისა და ქვეყნის წინაშე უდიდეს წვლილზე – მხედველობაში მაქვს ის უწმაწურობისა და ნაგვის მორევი, რომელშიც ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსი ტრიალებს და რომლის სიღრმეში ყველასგან პატივსაცემი ხალხის ჩათრევა სურს.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე „ქართული ოცნების“ კანდიდატთა სიის გამოქვეყნებამ, რომელშიც ერის საამაყო ხალხი, მათ შორის ჩვენი დიდებული სპორტსმენები – ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი არიან, არაკაცმა რომან გოცირიძემ „ლეღვის ფოთლებად“ მოიხსენია!! ლიკა შარტავას კი ვინმე მერი წიკლაური წუნობს!!!

**ღმერთი რატომ არ გაიცინებს!..**

რომელ ზნეობაზე თუ ჯენტლმენობაზე შეიძლება ელაპარაკო ოპოზიციის მიერ წამოყენებულ პოტენციურ პარლამენტარებს, ანუ ერთიანად ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის ბედის მომავალ გამგებლებს, რომლებსაც ოპონენტებთან დიალოგის წარმართვისას საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებული ნორმების დაცვის თაობაზე ერთობლივი მანიფესტის გაფორმებას სთავაზობენ, ამაზე უარს აცხადებენ იმ არაფრისმთქმელი მიზეზით, თითქოს ეს მათ არ სჭირდებათ და ისედაც კაი გოგო-ბიჭები არიან.

თქმა არ უნდა: ერთ თვეში ქართველი ერი დიდი არჩევანის წინაშე დადგება და თითოეული ხმის მიმცემი მოქალაქის გონიერებაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ქვეყნის უახლოესი ხანის ბედიღბალი. მთავარია, თითოეულმა ამომრჩეველმა თავიდანვე კარგად გაიაზროს, თუ ვის აძლევს ხმას – გამდიდრების ჟინით შეპყრობილ, ყველანაირი ეროვნული ფასეულობისა და ერის გადამრჩენელ მართლმადიდებლური სარწმუნოების მგმობელებს თუ წინაპართა სახელოვანი გზის გამგრძელებელ ჭეშმარიტ პატრიოტებს!

**ოთარ ტურაბელიძე**

# ემანუელ მაკრონი: მოგვიწევს ევროპისთვის ახალი ორგანიზაციის ფორმაზე მსჯელობა და რუსეთთან ურთიერთობების გადახედვა



**ომის დასრულების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობების გადახედვა მოგვიწევს, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა კათოლიკური ასოციაცია Sant’Egidio-ს მიერ ორგანიზებულ „შეხვედრაზე მშვიდობისთვის“.**

„მოგვიწევს ევროპისთვის ახალი ორგანიზაციის ფორმაზე მსჯელობა და რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების გადახედვა. წარმოსახვის უნარი უნდა გამოვიყენოთ, რათა ვიფიქროთ ხვალინდელ მშვიდობაზე, ახალი ფორმით მშვიდობაზე ევროპაში“, – აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

მაკრონი ასევე ახალი საერთაშორისო წესრიგის აშენების მოწოდებით გამოვიდა, რადგან, მისი აზრით, „დღევანდელი სისტემა არასრული და უსამართლოა, რადგან დღეს არსებული ბევრი ქვეყანა საერთოდ არ არსებობდა, როდესაც ადგილები ნაწილდებოდა

# დონალდ ტრამპი: ზელენსკი არის უდიდესი ვაჭარი ისტორიაში – ყოველ ჯერზე, როდესაც შემოდის ქვეყანაში, 60 მილიარდი დოლარით გადის!

**აშშ-ის „რესპუბლიკური პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი საუკეთესო ვაჭარია ისტორიაში.**

„ვხედავ, ზელენსკი აქ არის. ვფიქრობ, რომ ზელენსკი არის უდიდესი ვაჭარი ისტორიაში – ყოველ ჯერზე, როდესაც შემოდის ქვეყანაში, 60 მილიარდი დოლარით გადის,“ – განაცხადა ტრამპმა პენსილვანიაში ამომრჩეველთან გამართულ შეხვედრაზე.

ყოფილი პრეზიდენტის თქმით, სჯერა, უკრაინის ლიდერს ძალიან სურს, არჩევნებში მისმა „დემოკრატმა“ ოპონენტმა კამალა ჰარისმა გაიმარჯვოს. ამასთან, ტრამპის მტკიცებით, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის უკრაინასა და რუსეთს მოლაპარაკების მაგიდასთან მიიყვანს.



საქართველოს რესპუბლიკა




# პატარა ლევილის ალორძინება დიდი საქართველოს ევროპულობას ნიშნავს

ლევილის ქართველთა მამულმა საქართველოსთვის მამულის გადმოცემის 8 წლისა და 1924 წლის სახალხო აჯანყების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს უმასპინძლა.

**ლევილის ქართველთა მამულში კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართა, რომლებიც მამულის საქართველოსთვის გადმოცემის რვა წლისთავსა და 1924 წლის სახალხო აჯანყების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებებს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე, ლევილის მერი ერიკ ბრევი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გექა ოდიშარია, საქართველოს პარლამენტის წევრი თენგიზ შარმანაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი გივი ჭიჭინაძე, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალგედაშვილი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიჭაშვილი, ლევილის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმის მენეჯერი თეონა მელითაური, მენეჯერის მოადგილე ტიერი ბერიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივის ხელმძღვანელი თეონა იაშვილი, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ირენ ციციშვილი, აკაკი ჩხენკელის შვილიშვილი თამარ ჩხენკელი, თბილისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ასევე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ეროვნული არქივის წარმომადგენლები და მკვლევრები ესწრებოდნენ.**

ქართული დელეგაციის წევრებმა ფრანგ სტუმრებთან ერთად ლევილის სასაფლაოს მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

ღონისძიებების მიმდინარეობისას გაიხსნა საქართველოს ეროვნული არქივის მიერ მომზადებული გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია წიგნები ტიერი ბერიშვილის პირადი კოლექციიდან. ლევილის შატოს მუზეუმის ფონდი 20 სექტემბერს დაარსდა თბილისში. მისი პირველი ექსპონატი ლეგენდარული მოჭადრაკის – ნონა გაფრინდაშვილის მიერ შეწირული ჭადრაკის ფიგურაა. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვარში დასრულდება შატოს რეაბილიტაცია. აქ ფუნქციონირებას დაიწყებს მუზეუმი და ბიბლიოთეკა, რომელიც გახდება ევროპაში ქართული ისტორიის მნიშვნელოვანი კერა.


„ქართული ხმები" ფრანგებისთვის „წუთისოფელს" ასრულებენ


რატი ბრეგაძე და თეა წულუკიანი ლევილში

აგრეთვე, დამზადდა 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა.

ლევილის შატოს უკვე განახლებულ სივრცეში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია 1924 წლის აჯანყების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი ზურაბ გაიპარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოთარ ჯანელიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი, ისტორიის დოქტორი პაატა სურგულაძე, საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების წევრი, ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია, ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ია თიკანაძე და ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგულ-ქართული ასოციაციის თავმჯდომარე ტიერი ბერიშვილი.

ლევილის ქართველთა მამულში გამართული ღონისძიებები დასრულდა „ქართული ხმების" მუსიკალური სპექტაკლით – „წუთისოფელი", რომელიც თემურ ჭკუასელის, გივი ჭიჭინაძისა და „ქართული ხმების" გამორჩეული თაობის პროექტია. ეს არის ქართული მრავალხმიანი სიმღერით მოთხრობილი საქართველოს ისტორია.

აღსანიშნავია, რომ ლევილის მამულის განახლებულ რეზიდენციაში იმყოფება ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი და დგამს სპექტაკლს, რომლითაც მიმდინარე წელს სრულად განახლებული დმანისის თეატრი გაიხსნება. ამის შემდეგ ლევილის სარეზიდენციო სივრცე უმასპინძლებს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის, გორის გიორგი ერისთავის სახელობისა და ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრებს.

**კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ: 2016 წელს საქართველოს მთავრობის, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძისა და იუსტიციის მაშინდელი მინისტრის თეა წულუკიანის ძალისხმევის შედეგად, რასაც წინ უძღოდა 25-წლიანი უშედეგო მოლაპარაკებები, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული საქართველოს დაუბრუნდა.**

მამულის საქართველოსთვის დაბრუნების შემდეგ აქტიურად დაიწყო ლევილის მამულის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მამულის რეაბილიტაციის მთავარი მიზანი შენობების ავთენტიკური სახის შენარჩუნებაა. ამჟამად მიმდინარეობს ლევილის მამულის შატოს რეაბილიტაცია, რომლის სახურავი მთლიანად შეიცვალა. დასკვნით ეტაპზეა ფასადისა და დარაბების განახლების პროცესი, სამუშაოები მიმდინარეობს ინტერიერშიც. დასრულდა შატოს ერთი ნაწილის რეაბილიტაცია, მამული სრულად მიმდინარე წლის ბოლომდე განახლდება. შატოს პირველ სართულზე განთავსდება პირველი რესპუბლიკისა და საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მუზეუმი, მეორე სართულზე კი რვა საცხოვრებელი სივრცე მოეწყობა.

მამულში უკვე დასრულდა გუშაგის სახლის რეაბილიტაცია, სახელოვნებო საცხოვრებლების კეთილმოწყობა, აღდგა 4 ჰა ტერიტორიის გალავნის ავთენტიკური სახე, ჩატარდა აზბესტისგან გაწმენდის სამუშაოები, დასრულდა მამულში ქართული ოდის განსათავსებელი ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა, დასუფთავდა ე. წ. ორანჟერეის შენობის ბოლო ნაწილი და მალე დაიწყება რეაბილიტაცია.

2026 წლის სექტემბრამდე მამულის ტერიტორიაზე მოეწყობა: ლევილის ქართული აკადემია, სამუზეუმო და საარქივო სივრცე, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, მედიათეკა, ქართული კუთხე – ქართული ოდა, ვენახი, ქვევრი და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის აუცილებელი კომპონენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლევილის შემოქმედებით რეზიდენციას წელს პირველად ესტუმრა სამხატვრო აკადემიის მაგისტრატურისა და საბაკალავრო საფეხურის ქანდაკების მიმართულების შვიდი სტუდენტი, რომელთა მიერ თავისუფლების თემაზე შექმნილმა შვიდმა ქანდაკებამ, შეთანხმების თანახმად, ლევილის მამულის პარკში სამუდამოდ დაიდო ბინა.

მეორე განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებაა ლევილის ქართული ფესტივალი, რომელიც, მეორე წელია, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. ფესტივალი წარმოაჩენს ქართულ კულტურას, სპორტს, ხელოვნებას, ტრადიციებს. სიმბოლურია, რომ წელს ფესტივალი 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნა მამულში, რომელიც აქ მცხოვრებმა წინაპრებმა შემოგვინახეს, როგორც თავისუფლების სავანე.

**ფესტივალი ნათელი მაგალითია იმისა, რომ კულტურის სამინისტრო წარმატებით ახორციელებს გეგმას, რომლის მიხედვით ჩვენს ქვეყანას ლევილის სახით ევროპაში ექნება მრავალპროფილური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი და გაგრძელდება ტრადიცია, რომელსაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებმა ჩაუყარეს საფუძველი", – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

# აბასთუმნის ცენტრალური პარკის განახლება დასრულდა

**„დასკვნით ფაზაშია არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი აბასთუმანში, რაც მსგავსი კურორტების ურბანული განახლების ძალიან კარგ მაგალითს წარმოადგენს. განახლდა აბასთუმნის ცენტრალური პარკი, სადაც მოეწყო სხვადასხვა ტიპის სივრცეები ყველა ასაკის დამსვენებლისთვის. პარკი, როგორც აბასთუმნის მკვიდრთათვის, ასევე სტუმრებისათვის ძალიან საინტერესო რეკრეაციულ სივრცედ იქცა," – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ აბასთუმანში დასრულებული და მიმდინარე პროექტების მონახულების შემდეგ განაცხადა.**

პარკში, რომელსაც ადგილობრივები ისტორიულად „როშას პარკით" იხსენიებენ, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა საფეხმავლო არეალს, შეიცვალა გარეგანათების ბოძები, განთავსდა ახალი სკამები და ნაგვის ურნები, შეიცვალა წყალმომარაგების, ირიგაციის და ელექტროსაინჟინრო ქსელები, განახლდა შადრევანი და დენდროლოგია. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცეები და მულტიფუნქციური სტადიონი. ასევე, აშენდა ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა. განახლებული ინფრასტრუქტურა სრულად მორგებულია შშმ პირებისა და საბავშვო ეტლით მოსარგებლე მშობლების საჭიროებებზე.

მინისტრის თქმით, დასკვნით ფაზაშია აბასთუმნის ავტოსადგომის მშენებლობაც. უკვე დასრულებულია სადგურის შენობა და აქტიურად გრძელდება შიდა მოსაპირკეთებელი და საინჟინრო სამუშაოები.

„მნიშვნელოვანია აბასთუმანში არსებული შენობების ურბანული განახლებაც, რაც სხვა პროექტებთან ერთად, აბასთუმანში დასვენებას კომფორტულს გახდის და გაახანგრძლივებს დამსვენებლების ყოფნას კურორტზე. აბასთუმნის განვითარებას ხელს უწყობს კერძო სექტორი და სასტუმროების მიმდინარე მშენებლობები. საერთო ჯამში, ჩვენ გვექნება თვისებრივად განახლებული, ბევრად უფრო მაღალი კატეგორიის კურორტი," – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

აბასთუმნის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5.3 მილიონ ლარამდე მოხმარდა.







## პეტრე მამრაძე:
# „იდიოტები თეთრ სახლში“, — სწორედ ასე აფასებდა ერნესტ ჰემინგუეი შეერთებული შტატების ადმინისტრაციას

**„საქართველო ამხელს შეერთებული შტატების ადმინისტრაციას უმაღლესი ტრიბუნებიდან. მხილებისთვის მსოფლიოში სიტუაცია მომწიფებულია. მხილება შეიძლება გაჟღერდეს გაეროს ტრიბუნიდან, ასევე, მსოფლიოს ყველა წამყვანი ტრიბუნიდან“, — აცხადებს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე for.ge-სთან საუბრისას.**

* * *

**— მმართველი გუნდი განმარტავს, რომ ირაკლი კობახიძემ ამერიკასთან ურთიერთობის გადახედვაში იგულისხმა არა სტრატეგიული პარტნიორობის გადახედვა, არამედ ურთიერთობის თვისებრივად გადახედვა, რომ ჩვენ აღარ გვჭირდება უფროსი მეგობარი, არამედ ჩვენ გვჭირდება თანასწორუფლებიანი პარტნიორი. რა რესურსი აქვს საქართველოს, რომ გადახედოს პოზიციას ამერიკასთან მიმართებით, რადგან ამერიკის ადმინისტრაციამ შესაძლოა, ჩვენისთანა პატარა ქვეყნის სამართლიანი პრეტენზიები საქმის გარჩევად აღიქვას?**

— ამერიკასთან პოზიციის გადახედვის რესურსი ნამდვილად არსებობს, ეს არ არის ზედმეტი განცხადება, რომ ჩვენ შეგვიძლია საკუთარ პოზიციას გადავხედოთ. რა თქმა უნდა, არავინ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ეკონომიკურად, ფინანსურად საქართველოს შეუძლია საპასუხოდ რაიმე პრობლემები შეუქმნას ამერიკას.

**სხვათა შორის, ამერიკა არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი პარტნიორი ეკონომიკის დარგში საქართველოსთვის. ნახეთ ინვესტიციები და შეადარეთ სხვა ქვეყნებს, ეს ცალკე თემაა, მაგრამ საქართველოს აქვს ძლიერი მორალური და პოლიტიკური უპირატესობა. რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა?**

წლების განმავლობაში, უკვე 12 წელიწადია, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია და საქართველოს შეფასებები, რომლებსაც იძლევიან საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც პროფესიონალები სხედან და მათ არ აინტერესებთ პოლიტიკური კონიუნქტურა, არ აინტერესებთ, ბუშს კარგი ურთიერთობა აქვს სააკაშვილთან თუ არ აქვს, ისინი ზომავენ, რა ხდება საქართველოში. ამ ინდექსების მიხედვით, საქართველომ წლების განმავლობაში საოცრად გაიუმჯობესა პოზიციები, ეს არის არნახული ზრდა, თითქოს სხვა ქვეყანა ვიყავით და სულ სხვა გავხდით.

მართლაც, ეს იყო ქვეყანა, სადაც ათი ათასი ბიზნესმენი იძულებული იყო, ხელი მოეწერა და გადაეცა მთელი თავისი ქონება სახელმწიფოსთვის, ანუ სააკაშვილისა და მისი ხროვისთვის.

„ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ უკვე 12 წელიწადია, არც ერთ ბიზნესმენზე არავითარი ზეწოლა და ბიზნესის გადაფორმება არ ყოფილა. „ნაცების“ დროს მასობრივი და სისტემური წამება იყო დამკვიდრებული



**„ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ უკვე 12 წელიწადია, არც ერთ ბიზნესმენზე არავითარი ზეწოლა და ბიზნესის გადაფორმება არ ყოფილა. „ნაცების“ დროს მასობრივი და სისტემური წამება იყო დამკვიდრებული ციხეებში, მათ შორის, კარანტინის დაშლისას ყოველ პარასკევს წითელ პარასკევს ეძახდნენ. იბარებდნენ რეგიონებიდან რეგიონალური პოლიციის ხელმძღვანელობას, პირველ პირებს, მოადგილეებს, მათ აცემინებდნენ პატიმრებს, ვინც გაჰყავდათ კარანტინიდან უკვე კამერებში და ამას იღებდნენ, რომ კომპრომატი ჰქონოდათ.**



ციხეებში, მათ შორის, კარანტინის დაშლისას ყოველ პარასკევს წითელ პარასკევს ეძახდნენ. იბარებდნენ რეგიონებიდან რეგიონალური პოლიციის ხელმძღვანელობას, პირველ პირებს, მოადგილეებს, მათ აცემინებდნენ პატიმრებს, ვინც გაჰყავდათ კარანტინიდან უკვე კამერებში და ამას იღებდნენ, რომ კომპრომატი ჰქონოდათ.

დემოკრატიის ინდექსით საქართველო ერთ წელიწადში 30-ე ადგილიდან პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების მე-15 ადგილზე ავიდა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის ინდექსში და გაასწრო დიდი შვიდეულის ხუთ ქვეყანას: შეერთებულ შტატებს, კანადას, საფრანგეთს, იაპონიას და სხვა ქვეყნებს. ასევე, ეკონომიკური ინდექსებითაც პირველად საქართველომ მიიღო საშუალოზე მაღალი შემოსავლის სტატუსი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში და გაუსწრო ნავთობით და გაზით მდიდარ აზერბაიჯანს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით. ასევე, გაუსწრო სომხეთს, უკრაინას და მოლდოვას.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მიანიჭეს თავისუფალი სახელმწიფოს ქვეყნის სტატუსი. Atlantic Council-მა, ამ ძალიან ცნობილმა და ძლიერმა ორგანიზაციამ საქართველოს გარდა არც ერთ სხვა ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის კანდიდატია (უკრაინა, მოლდოვა) არ მიანიჭა ეს სტატუსი. ისმის კითხვა, რომელსაც მე ვსვამდი ყოველთვის და ახლა შეიძლება მთავრობამაც თქვას მთელი მსოფლიოს გასაგონად,

**სანამ სააკაშვილის უმძიმესი დრო იყო და ეს არ იმალებოდა, იგივე სტრუქტურები სიმართლეს წერდნენ იმ საშინელ რეჟიმზე, ამის მიუხედავად, შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არც ერთი სანქცია არ გაუცია. სანამ სამართლიანი სასამართლო არ არსებობდა და ამას წერდნენ საერთაშორისო სტრუქტურები, რომ გამამართლებელი განაჩენი იყო 0,4%, მაშინაც კი არც ერთი მოსამართლე არ იყო სანქცირებული.**

როდესაც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა სააკაშვილის რეჟიმს, რომ ხელისუფლების სამი შტო, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი: სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ერთ მუშტად არის შეკრული საქართველოში, რომ დაფაროს დანაშაული, რადგან თვითონ არიან დამნაშავეები, არც მაშინ არავინ დაასანქცირეს.

დღეს კი აბსურდული სიტუაცია იქმნება, როგორც კი საქართველომ მოიპოვა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაზე და დიდი შვიდეულის ხუთ ქვეყანაზე უკეთესი ინდექსები, როდესაც ეს ყველაფერი შედგა, მაშინ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, როგორც ჩემი საყვარელი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი წერდა, „იდიოტები თეთრ სახლში“, სანქციები დაუწესა კონკრეტულ პიროვნებებს. ჩვენ ამას მთელი მსოფლიოს გასაგებად ვამბობთ, რომ ეს არის ყბადაღებული მიკერძოება და სიცრუე სამხედრო თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის მხრიდან, რომელსაც ქართველები ამდენი წელიწადია, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად მივიჩნევდით...

**— ეს ნიშნავს, რომ უნდა ვამხილოთ ამერიკა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ყველაფერს პატიობდა და არც სანქციებს იყენებდა მის წინააღმდეგ და არც უარყოფით შეფასებებს?**

— დიახ, ეს შეიძლება გაჟღერდეს გაეროს ტრიბუნიდან, მსოფლიოს ყველა სხვა წამყვანი ტრიბუნიდან. მთელი მსოფლიოს მასმედიაში ეს იქნება პირველ გვერდებზე — საქართველო ამხელს შეერთებული შტატების ადმინისტრაციას. ამისთვის ატმოსფერო და ამინდი მსოფლიოში მომწიფებულია.

**— ერთხელაც ამხილა საქართველომ ამერიკა, ანუ ზვიად გამსახურდიას პერიოდში, რომ დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან, მაგრამ ჩვენ მაშინ ვიგემეთ მამა ბუშთან დაპირისპირება. ამჯერად მხილების მეორე ტალღა უპრობლემოდ ჩაგვივლის?**

— იმ პერიოდში საქართველოს არც ერთი ეს ინდექსი მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებში არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა. მაშინ აღშფოთებული და შეშფოთებული უცხოური გაზეთები, რასაც მე ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად და იტალიურად დედანში ვკითხულობდი, წერდნენ, რომ საქართველოში ოპოზიციის მოქმედება სიურრეალისტურ ხასიათს იღებს, კაცმა ხელები აღაპყრო, გადავკეტოთ სამტრედია და დავაჩოქოთ კრემლიო, გადაკეტა შუაგულ საქართველოში რკინიგზა იმ იმედით, კრემლი დაიჩოქებდა. ეს ხდებოდა ჯერ კიდევ 1989 წელს, ზვიად გამსახურდია ჯერ არც იყო პრეზიდენტი.

ნაპოლეონმა მოსკოვი აიღო და ეძინა კიდეც იმპერატორ ალექსანდრეს ლოგინში, თუმცა ამის შემდეგ რა მოუწია, ყველამ ვიცით, ანუ კრემლმა არ დაიჩოქა. ამდენად, როცა ზვიადმა მკვდარი თევზების შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა, სამწუხაროდ, ამას რეზონანსი არ ჰქონდა მსოფლიოში. იმასაც წერდნენ, რომ, სამწუხაროდ, ყოფილმა დისიდენტებმა სხვა ქვეყნებშიც აჩვენეს, რომ კრიტიკა შეეძლოთ, მაგრამ ქვეყნის მართვა საერთოდ არ შეეძლოთ. ახლა ვითარება შეცვლილია, ახლა საქართველომ არნახული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წარმატება მოიპოვა, რაც დადასტურებულია ობიექტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

**— საქართველომ ერთხელ უკვე არ ისურვა უფროსი „ძმა“ რუსეთის სახით და რუსეთს ჩამოვშორდით. ამერიკას რომ ჩამოვშორდეთ, რა პერსპექტივა გვექნება — ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი?**

— ამერიკას როგორი ჩამოშორებულებიც ვიყავით სინამდვილეში, ისეთებად ვრჩებით. აბა, მითხარით, რეალურად ამერიკის ყოფნის ნიშნები საქართველოში თუ არსებობს?

**— აგვისტოს ომის დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამერიკა მხოლოდ წყლითა და პამპერსით დაეხმარა საქართველოს.**

— გემიდან არაფერი გადმოუტანიათ, გემი შევიდა ბათუმში და გავიდა ბათუმიდან, იდგა რეიდზე, მეტი არაფერი. თვითმფრინავი რომ ჩამოფრინდა, ეს იყო სიმბოლური ჟესტი, იქაც არაფერი არ იყო, არანაირი იარაღი, მხოლოდ ჰუმანიტარული პაკეტები იყო. ამაზე მეტად იმ პერიოდში „სოკარი“ დაგვეხმარა.

**— სამაგიეროდ, ამერიკელები გვაყვედრიან, რომ საქართველოს დიდი ფინანსური დახმარება გაუწიეს 30 წლის განმავლობაში.**

— ამდენი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდით ამერიკული ინვესტიციების გარეშე. რაც შეეხება ნჯო-ებს, მინდა დაგარწმუნოთ, მათ ამერიკული დაფინანსება არ დააკლდებათ, შესაძლოა, გაიზარდოს კიდეც ეს დაფინანსება. ასე რომ, თუ ვინმე ნერვიულობს, ახლა

**საქართველოს მთავრობა არ ხურავს კარს, მას უნდა ურთიერთობა ამერიკასთან, მაგრამ, უკაცრავად, როდესაც ვაშინგტონიდან გეტყვიან ელჩის პირით, აი, ახლა გეპატიჟებით, თქვენ გეძლევათ დიდი პატივი, ჩამოხვიდეთ და გქონდეთ შეხვედრები თეთრ სახლში და იქ ვიმსჯელოთ ამ კანონზე, ოღონდ ამასობაში თქვენმა პარლამენტმა შეაჩეროს ამ კანონთან დაკავშირებით მსჯელობაო, ეს არ არის შეურაცხყოფა?**

ამერიკასთან ურთიერთობა წახდა და რას იზამენ ჩვენი ნჯო-ებიო, ყველას გადაეცით ჩემგან, ისინი არ იზარალებენ. განა ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავდა ამერიკა? არასოდეს. ბრწყინვალე მაგალითია ჩეხეთი, ნატოს სრულყოფილი წევრი ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც 9 მილიონია, ჩეხეთს ჰყავდა გაგზავნილი 100 კაცი საერთაშორისო მისიებში, ხოლო ნატოს არაწევრი ქვეყანა საქართველო, რომელსაც ნატოში შესვლის ნულოვანი პერსპექტივა აქვს, სანამ რუსის ჯარი აქ დგას, სააკაშვილის ახირებით, რომ მერე თვალს დახუჭავდნენ მის დანაშაულებზე, ათას ჯარისკაცს აგზავნიდა. საქართველო სრული ჩემპიონი იყო ამ მხრივ. რასმუსენი იქნებოდა, თუ რომელიმე მაღალჩინოსანი და სენატორი, ყველა ამბობდა, რომ „უსათუოდ აღსანიშნავია საქართველო, რომელმაც გაიღო ასეთი კონტინგენტი“ და იქვე დასძენდნენ, „რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო უახლოვდება ნატოს“.

**— ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რამდენად გამოგვადგება, გავყინოთ ამერიკასთან ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის ახალ არჩევნებამდე მაინც?**

— ჩვენ არ ვყინავთ ამ ურთიერთობას, მაგრამ შესანიშნავმა ამერიკელმა მეცნიერმა **დუგ ბენდოუმ**, რომელიც თავის დროზე რეიგანის თანაშემწე იყო, 2008 წელს დაწერა, რომ მაპის მიცემა სააკაშვილისთვის იგივეა, რაც კლინიკურ იდიოტ ბავშვს ხელში მისცე ტყვიამფრქვევი. „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით, რომელიც გამაოგნებლად რბილია, დუგ ბენდოუმ დაწერა, რომ ეს არის „ამერიკის ამპარტავნული იმპერიალიზმის სრულმასშტატიანი მანიფესტაცია საქართველოში“. ხოლო მეორე გამოჩენილმა ამერიკელ- ბრიტანელმა მეცნიერმა, მსოფლიოში სახელის მქონე ისტორიკოსმა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, ანატოლ ლივენმა დაწერა, „ნუ ექცევით საქართველოს, როგორც დასავლეთის კრეატურას“, ანუ შექმნილ წარმონაქმნს. მისი თქმით, ამით ამერიკა საპირისპირო შედეგებს იწვევს. საქართველოს მთავრობა არ ხურავს კარს, მას უნდა ურთიერთობა ამერიკასთან, მაგრამ, უკაცრავად, როდესაც ვაშინგტონიდან გეტყვიან ელჩის პირით, აი, ახლა გეპატიჟებით, თქვენ გეძლევათ დიდი პატივი, ჩამოხვიდეთ და გქონდეთ შეხვედრები თეთრ სახლში და იქ ვიმსჯელოთ ამ კანონზე, ოღონდ ამასობაში თქვენმა პარლამენტმა შეაჩეროს ამ კანონთან დაკავშირებით მსჯელობაო, ეს არ არის შეურაცხყოფა?

**— ამ ხელისუფლების პირობებში საქართველომ გააცნობიერა, რომ ამერიკასთან მიმართებით დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნა არ არის სასურველი. მაშინ რას უნდა ველოდოთ, ავიღოთ ტაიმ აუტი, სანამ ახალი ადმინისტრაცია არ მოვა ამერიკაში?**

— არ შევაჩეროთ ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვთქვათ სიმართლე. აქამდე ჩვენ ვითვალისწინებთ პარტნიორობას, გვესმოდა ეს ყველაფერი და თავს ვიკავებდით...

**— რუსეთის მოსათოკად გვაწყობდა, რომ სტრატეგიული პარტნიორები გვერქვა ჩვენ და ამერიკას. თუმცა რამდენად აშინებდა ამერიკა რუსეთს და რა გარიგებები იყო მათ შორის, ვინმემ იცის?**

— **რუსეთი ხალისობდა ამით. მედვედევმა, რომელიც 2008 წელს პრეზიდენტი იყო, საჯაროდ თქვა, მაპი რომ მიეცათ ბუქარესტში, მაშინ გაცილებით უფრო ხისტი და ძლიერი იქნებოდა ჩვენი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზეო. როდის იყო, რუსეთს შეშინებოდა ამერიკის? ეს იოტისოდენად რომ ყოფილიყო, საერთოდ კიევს არ შეუტევდა რუსეთი. მით უმეტეს, იმ დროს, როცა უკრაინაში ამერიკელი სამხედროები უკრაინელებს ავარჯიშებდნენ. საქართველოს მართლაც მოუწევს პოზიციის გადახედვა ამერიკასთან მიმართებით იმ მხრივ, რომ თუკი გაგრძელდება ასეთი ყბადაღებული უსამართლობა, მათ ვამხელთ უმაღლესი ტრიბუნებიდან.**



**სულ ცოტა, უკვე 30 წელიწადია, ეკონომისტებში მსოფლიო დონეზე დამკვიდრებულია ტერმინი „კიმერიკა“, რაც ნიშნავს ერთიან ეკონომიკას — „ჩაინა ამერიკას“. ეს არის ერთი მთლიანი განუყოფელი ეკონომიკა, რომლის ბრუნვაც მილიარდობით დოლარს აღწევს თვეში. რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირის ბრუნვა ჩინეთთან დღეში აღემატება ორ მილიარდ ევროს.**

**— მხოლოდ მხილებაა ჩვენს არსენალში? ჩინეთთან უფრო მეტი ინტეგრაციაც ხომ არ შედის პოზიციის გადახედვაში?**

— ჩინეთთან ინტეგრაცია ისედაც მიმდინარეობს. ჩვენ ვერ შევეჯიბრებით იმ ინტეგრაციას, რაც ამერიკას აქვს ჩინეთთან. სულ ცოტა, უკვე 30 წელიწადია, ეკონომისტებში მსოფლიო დონეზე დამკვიდრებულია ტერმინი „კიმერიკა“, რაც ნიშნავს ერთიან ეკონომიკას — „ჩაინა ამერიკას“. ეს არის ერთი მთლიანი განუყოფელი ეკონომიკა, რომლის ბრუნვაც მილიარდობით დოლარს აღწევს თვეში. რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირის ბრუნვა ჩინეთთან დღეში აღემატება ორ მილიარდ ევროს. ამის შემდეგ შევეჯიბროთ ჩინეთთან ინტეგრაციაში ან ამერიკას, ან ევროკავშირს. როდესაც ხმელთაშუა ზღვის პორტების დიდი ნაწილი, დაწყებული ისრაელის პორტით, არის ჩინეთის ხელში, ასეთ დროს ანაკლიაზე როგორ ბედავენ ლაპარაკს? **ანაკლიაში ცოცხალი თავით არ უნდა შემოსვლა ამერიკას და ყველა დანარჩენს ეშინია, რუსეთი რომ დაგიყენებს რეიდზე ხომალდებს. სამაგიეროდ, რუსეთი ჩინეთს ვერ დაუყენებს ვერაფერს, ხმასაც ვერ ამოიღებს.**

ესაუბრა

**მანანა ნოზაძე**

# აშშ ივანიშვილს სანქციებით ემუქრება!



## თენგიზ შარმანაშვილი: ამ მუქარებით ქართველ ამომრჩეველს, მით უფრო ბიძინა ივანიშვილს, ვერ შეაშინებენ!

**„ამერიკის ხმა“ წერს, რომ აშშ-ს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების პაკეტი აქვს შემუშავებული და მის დაწესებას უახლოეს მომავალში განიხილავს. როგორც სტატიაშია ნათქვამი, აღნიშნულ ინფორმაციას „ამერიკის ხმას“ აშშ-ის მთავრობის მაღალი თანამდებობის ორი პირი და ადმინისტრაციასთან დაახლოებული კიდევ ორი წყარო უდასტურებს. აქვე აღნიშნულია, რომ სანქციების პაკეტზე მუშაობას ამერიკის ხაზინა და სახელმწიფო დეპარტამენტები წარმართავენ.**

**„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა გადადგა ნაბიჯები, რათა განევითარებინა ურთიერთობები რუს ოლიგარქებთან, გადადგა ნაბიჯები, რათა რუსეთისთვის მიეცა უკეთესი წვდომა საქართველოს გაზრისთვის. ფაქტობრივად, მან გარკვეული ქმედებები რუსეთის სადაზვერვო სამსახურის მითითებით გაატარა“,** — ამბობს ამერიკის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირი.

დროს, თუ როდის ამოქმედდება სანქციები, შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები არ ასახელებენ. ისინი არც იმას აზუსტებენ, ეს 26 ოქტომბრის არჩევნებამდე მოხდება, თუ მის მერე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილი დე-ფაქტო სანქციების ქვეშ უკვე არის. აღსანიშნავია, რომ 14 მაისს საქართველოში ვიზიტად მყოფმა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯიმ ო’ბრაიენმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციები არ არის და ფაქტი, რომ ასეთი გავლენიანი ადამიანი არასწორად ინფორმირებულია, ნამდვილად გასაოცარი და სამწუხაროა.

უმრავლესობის წევრი **თენგიზ შარმანაშვილი** აცხადებს, რომ სანქციების გამოყენებით ყველაფერს ფასი დააკარგვინეს. შესაბამისად, დეპუტატის განცხადებით, ძალიან ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ან სანქციის მუქარით, ან მისი აღსრულებით ვინმეს შეაშინებენ.

„თუ შენ ხარ ქართველი პოლიტიკოსი და არა უსამშობლო პოლიტიკოსი, შენ მზად უნდა იყო ყველაფრისთვის, მათ შორის, არა მხოლოდ ფინანსური სანქციების გადასატანად, თუ საჭირო იქნება სიცოცხლის დასათმობადაც მზად უნდა იყო. თუ ამისთვის მზად არ ხარ, მაშინ საქართველოს პოლიტიკაში არაფერი გესაქმება. გარე ძალები ცდილობენ, საქართველო მუდმივად ამყოფონ კონტროლქვეშ ისე, რომ საქართველოს არ გააჩნდეს თავისი ნება გადაწყვეტილებების მიღების დროს. ქართველი ამომრჩეველი ძალიან გამოცდილია და ზემოთ ხსენებული მანიპულაციებით მათ შეცდომაში ვერ შეიყვანენ რაღაცა სანქციებით, ან მუქარებით, ან ამ მუქარების აღსრულებითაც კი“, — განაცხადა თენგიზ შარმანაშვილმა.

**ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, ბოლო დღეებში გახშირდა საუბრები და ინფო-შემოგდებები კოლექტიური დასავლეთის მიერ ბიძინა ივანიშვილის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების დასანქცირებაზე. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, მას შემდეგ, რაც დასავლეთი ივანიშვილს დაასანქცირებს, რომელსაც ისედაც შეჩერებული აქვს წვდომა საკუთარ აქტივებზე, ეს იქნება სიგნალი სხვა მდიდარი ადამიანებისადმი, რომ ათჯერ დაფიქრდნენ, ვიდრე ევროპასა და ამერიკაში საკუთარ აქტივებს განათავსებენ.

„ჩვენი ქვეყნის მიმართ ევროპის და აშშ-ს ბოლო დემარშების ფონზე, მიხვდით ბოლოს და ბოლოს მიუხვედრელნო, რომ საქართველოს არ შეიძლება ჰყავდეს მუდმივი მეგობრები და მტრები! ჩვენს ქვეყანას უნდა ჰქონდეს მუდმივი ინტერესები და მათ შესაბამისად იმოქმედოს. უთხრა, ვისაც საჭიროა იმას, ივანიშვილმა ამ დღეებში, რომ არანაირი შანტაჟის და ზეწოლის ქვეშ საქართველოს ომში არ ჩააბამს. უფრო მეტიც, თუ ამ ნაბიჯს გადადგამენ, ეს კიდევ უფრო გაამყარებს ბიძინა ივანიშვილის ისედაც დიდ მხარდაჭერას ჩვენს საზოგადოებაში. ამით ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი (ავადმყოფ ნაწილს არაფერი ეშველება) კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს აშშ-ს და ევროკავშირის უპრეცედენტო და უხეშ ჩარევას 26 ოქტომბრის არჩევნებში, აქედან გამომდინარე შედეგებით“, — აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

**ანალიტიკოს გია აბაშიძის** განცხადებით, კოლონიალისტებს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ისე ეჯავრებათ, რომ ნებისმიერ უსაქციელობას ჩაიდენენ.

„კოლონიალისტებს ბიძინა ივანიშვილი და მის მიერ დაფუძნებული „ქართული ოცნება“ ისე ეჯავრებათ, რომ ნებისმიერ უსაქციელობას ჩაიდენენ. ე.წ. სანქციებით ვის აშინებენ, იმ გულანთებულ მამულიშვილს, რომელმაც საქართველო არ დათმო გასაჯიჯგნად? ბიძინა ივანიშვილი ისედაც დასანქცირებულია შვეიცარიის უზნეო ბანკის მიერ და ამით რა შედეგი სადამსჯელო ორკებს? მერმე და მერმე გავიმეორებ — ამ ქვეყანას ვერავინ, ვერასდროს დაამონებს, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენა რომ ახლოსაა, მაგიტომაც გაგიჟდნენ არარაობები“, — აცხადებს გია აბაშიძე.

**თამთა ქარჩავა**

# არჩევნებში გარედან ზღვარგადასული ჩარევების გამო, საარჩევნო პროცესი არათანაბარ და უსამართლო გარემოში მიმდინარეობს!

## საზოგადოება „ქართულის“ საგანგებო განცხადება

**გასულ კვირას ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა „მაკკეინის ინსტიტუტის“ ანგარიში, რომელიც საქართველოში NDI-ს ყოფილმა ხელმძღვანელმა ლარა თორნტონმა მოამზადა. ამ დოკუმენტიდან ცხადი გახდა, რომ გარკვეული ძალები დასავლეთში უკვე საჯაროდაც აღარ მალავენ საქართველოსთან დაკავშირებულ დესტრუქციულ გეგმებს. ანგარიში გამონაკლისი არ არის. აშშ ადმინისტრაციის ბოლო უჩვეულოდ ინტენსიური აქტივობები მიუთითებს დასავლეთის დაინტერესებული ძალების მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში უხეში ჩარევისა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე გარედან ზემოქმედების მოხდენის მრავალთაგან კიდევ ერთ მცდელობას.**

პირველ რიგში, ძალიან სამწუხაროა კიდევ ერთხელ დადასტურება იმისა, რომ ე. წ. ქართული არასამთავრობოები საქართველოს მოსახლეობის დასჯის მიზნით, ევროკავშირისგან უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ითხოვენ. ეს პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ გარედან დაფინანსებული ეს არასამთავრობოები რეალურად, უცხოური სახელმწიფოების სამთავრობო ორგანიზაციები არიან და ხელმძღვანელობენ არა ქართველი ხალხის, არამედ დამკვეთების მითითებებით.

საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების მოთხოვნა სხვა არაფერია, თუ არა ამ საკითხის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ იარაღად გამოყენება ქართველ ამომრჩეველზე ზემოქმედებისთვის. საზოგადოება „ქართული“ მიიჩნევს, რომ ასეთი რადიკალური, უსამართლო და მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული გეგმების უკან, მიუხედავად დემოკრატიული უკუსვლების ლოზუნგებით შეფუთვისა, რეალურად დგას მიზანი – როგორმე ხელისუფლებაში მოიყვანონ მათი სტრატეგიული გეგმების ბრმად აღმსრულებელი მთავრობა.

**„მაკკეინის ინსტიტუტის“ ანგარიშის მიხედვით, თუ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მათთვის არასასურველი შედეგით დასრულდა, ის არალეგიტიმურად უნდა გამოაცხადონ და სრული იგნორირება გაუკეთონ ქართველი ხალხის თავისუფალ ნებას. ანგარიშის მიხედვით, „ხმების პარალელური დათვლის (PVT) და ეგზიტპოლების შედეგები ასევე კრიტიკული იქნება ცესკოს ოფიციალური არჩევნების შედეგების დამოწმებისთვის“. თუ გავითვალისწინებთ 2020 წლის PVT-ს მიზნობრივი გაყალბების პრეცედენტს, არც ახლა უნდა ველოდოთ სამართლიანი არჩევნებისგან სამართლიან დასკვნას. იგი იქნება ისეთი, როგორი მოთხოვნაც აქვს დამკვეთს.**

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ არჩევნების ლეგიტიმურად ცნობის გადამწყვეტი ფაქტორი თურმე მხოლოდ სადამკვირვებლო ორგანიზაციების პოზიცია ყოფილა. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ეს შედეგების აღიარების ერთ-ერთი ფაქტორია და არა ერთადერთი. თუ რა დასკვნას დაწერენ ამერიკის მთავრობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ე. წ. არასამთავრობოები, რომლებიც არჩევნებზე დამკვირვებლებად გვევლინებიან ხოლმე, არ უნდა იწვევდეს კითხვებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ომის პარტიის ამერიკული ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩაუტარებელ არჩევნებს წინასწარ არალეგიტიმურად აცხადებენ და საპროტესტო გამოსვლებს „პროგნოზირებენ“ თუ აორგანიზებენ. ნათელია, რომ არასამთავრობოები და დამკვირებლები სიცრუის მოწმეებად იქნებიან გამოყენებულები.

**რაც შეეხება დასავლელი ინტიტუტებისადმი ფონდის რჩევებს იმ შემთხვევისთვის, თუ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, არის ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევისა და არჩევნებზე გარედან ზემოქმედების დანაშაულებრივი მცდელობა. გარდა ამისა, ის შეიცავს პირდაპირ შანტაჟს ქართველი ხალხისადმი, რომელსაც ემუქრებიან კანდიდატის სტატუსის შეჩერებით, დახმარების შეწყვეტითა და სანქციებით, თუ მათთვის სასურველ არჩევანს არ გააკეთებს. ეს არ არის დემოკრატია, არც კანონიერება და არც სამართლიანობა, ვერც ვერავინ მოგვყიდის ამ ანტიდემოკრატიულ და უსამართლო ქმედებებს ასეთად.**

ჩვენ, საზოგადოება „ქართულს“, მიგვაჩნია, რომ არჩევნებში გარედან ზღვარგადასული ჩარევების გამო, საარჩევნო პროცესი უკვე არათანაბარ და უსამართლო გარემოში მიმდინარეობს. ამიტომ ვგმობთ საარჩევნო პროცესში გარედან გამიზნული ზემოქმედების ცინიკურ მცდელობებს, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვასთან, მოსახლეობისთვის ხელების გადაგრეხვისა და დესტაბილიზაციის ინსპირაციასთან.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია – ომის პარტიის მიზანი ხელისუფლების შეცვლა და ძალაუფლების ისეთი ჯგუფისთვის გადაცემაა, რომელიც იქნება დამჯერი და უპრობლემოდ დათანხმდება მეორე ფრონტის გახსნას. დღეს უკვე ნათელია, რომ ამ გეგმების ნაწილი იყო დასავლელი „პარტნიორების“ მხრიდან 2020 წლის არჩევნების აღიარების დროში გაწელვა და 2021 წლის არჩევნების პერიოდში ყოფილი პრეზიდენტის, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის საქართველოში პროვოკაციული შემოპარება.

არანაკლებ გამაოგნებელია ფონდის მხრიდან ე.წ. ქართული არასამთავრობოების წაქეზება დანაშაულის ჩადენისკენ და ამ დანაშაულში თანამონაწილეობა. საინტერესოა, რას იტყოდა ამერიკული მართლმსაჯულება, რომ იქაური ორგანიზაციები დამატებით თანხებს იღებდნენ უცხოეთიდან მხოლოდ იმიტომ, რომ კანონისთვის გვერდი აევლოთ და ფინანსურად გაუმჭვირვალედ დარჩენილიყვნენ.

გვინდა, იცოდნენ მეორე ფრონტის გახსნის მოსურნეებმა, რომ საქართველოში გადმოსროლილი 30 ათასი რუსი ჯარისკაცი ვერანაირად ვერ დაეხმარება ორი ათას კილომეტრზე გადაჭიმულ უკრაინის ფრონტს.


საზოგადოება „ქართულის“ ლიდერი გიორგი გაბუნია

სამაგიეროდ, ევროპისთვის და ამერიკისთვის საბოლოოდ ჩაიკეტება ის დერეფანი, რომელსაც თავად დასავლელი ექსპერტები მომავლის „სიცოცხლის გზას“ უწოდებენ. ომის პროვოცირებით, რომელშიც გამარჯვების არანაირი შანსი არ გვაქვს, წყალში ჩაიყრება 30-წლიანი სტრატეგიული პარტნიორობა და დასავლეთი სამხრეთ კავკასიაში დაკარგავს უკანასკნელ საიმედო დასაყრდენს. ამაზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ომის პარტიის იმ რადიკალურ ძალებს, რომლებიც გარედან შანტაჟითა და შიგნიდან არეულობის პროვოცირებით ცდილობენ ქართველის ხალხის თავისუფალი ნების მიტაცებას და ქვეყნის ისეთ ავანტიურაში გახვევას, რომლისგანაც გამოსვლას თაობების შრომა და მცდელობები დასჭირდება.

საბედნიეროდ, ჩვენ არ ვართ ამ ბრძოლაში მარტო. დასავლეთში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის პოლიტიკური ელიტის იმ ჯანსაღი და კრიტიკული ნაწილის ხმა, რომლებიც ომის პარტიისა და ნეოლიბერალი რადიკალების დესტრუქციული გეგმების წინააღმდეგ აშკარად გამოდიან და მსოფლიოს ხალხებს მშვიდობასა და სასიკეთო ცვლილებებს სთავაზობენ.

ხელისუფლების შეცვლის გარედან თავსმოხვეული ნებისმიერი სცენარი საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას გამოიწვევს და ამით კავკასიაში ახალი შესაძლებლობების მაგივრად, მივიღებთ გეოპოლიტიკურ ჩიხს!

**23.09.2024**

# კახა კალაძე: ოპოზიციის რადიკალიზმი განწირულია მარცხისთვის!



**„ვიზალიბერალიზაციის შეჩერება საკმაოდ რთული პროცესია ბიუროკრატიულად და ყველანაირი თვალსაზრისით“, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიასთან განაცხადა.**

**მისი თქმით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვიზალიბერალიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით განცხადებები კიდევ უფრო გამძაფრდება.**

„რაც უფრო მოახლოვდება არჩევნების თარიღი, კიდევ უფრო გააქტიურდება განცხადებები, რომ „ვაუქმებთ ვიზალიბერალიზაციას, ვიწყებთ პროცესს, ვიწყებთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას“. ეს არის ჩვეულებრივი შანტაჟი, რაზედაც ვსაუბრობდი. ზუსტად ეს ფაქტები მეტყველებს იმაზე და არ უარყოფს ზოგიერთი ექსპერტი, პოლიტიკოსი და პოლიტიკური პარტია, რომ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით მეტად გამძაფრდება ასეთი განცხადებები“, – განაცხადა კახა კალაძემ.

**მისივე თქმით, ამ პროცესში არასამთავრობო სექტორიც ისეთივე როლს თამაშობს, როგორსაც პოლიტიკოსები.**

„რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ნუ გამოვყოფთ, რადგან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები არ არსებობს. დღეს ზღვარი წაშლილია და არიან ჩვეულებრივი პოლიტიკოსები, აგენტები. ეს არის აგენტურის ქსელი, რომლის შექმნისთვის უცხოეთიდან ასეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა, რათა ქვეყანა ემართათ გარედან. დასჭირდებოდათ და შეცვლიდნენ ხელისუფლებას, სხვას დააყენებდნენ და იტყოდნენ, რომ ეს არის ხალხის არჩეული. დღეს, ხელისუფლების წყარო არის ქართველი ხალხი და იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა მართოს ქვეყანა, ვინ იქნება ხვალ ხელისუფლებაში და ის, გარედან თავსმოხვეული პროცესები, რაც გვქონდა, მერწმუნეთ, ჩაბარდება წარსულს.

არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, დარბიან ბრიუსელში, რომ როგორმე ქვეყანა დააზიანონ, როგორმე ქვეყნის ევროპული მომავალი, ევროინტეგრაცია დააზიანონ და ამის კონკრეტული მაგალითები არსებობს. არ გახსოვთ, პოლიტიკოსები რომ დარბოდნენ, რომ ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა არ მომხდარიყო, კანდიდატის სტატუსი არ მიგვეღო, ვიზალიბერალიზაცია შეჩერდეს და ა.შ.?! მავნებლები არიან“, – განაცხადა კახა კალაძემ.

**თბილისის მერი კახა კალაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს შიდაპოლიტიკურ საქმეებში ჩარევა მიუღებელია და რადიკალიზმი ქვეყანაში ყოველთვის განწირულია.**

დედაქალაქის მერმა ამერიკელი სენატორის ჯინ შაჰინის მიერ სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება შეაფასა და აღნიშნა, რომ ის შეფასებები, რაც საქართველოსთან მიმართებაში კეთდება, სამწუხარო რეალობაა.

**„საქართველოში, ოპოზიციის ნაცვლად, არჩევნებს ატარებენ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსნები. ეს არის რეალობა, რაც, რა თქმა უნდა, ფრიად სამწუხაროა. კატეგორიულად მიუღებელია საქართველოში შიდაპოლიტიკურ საქმეებში ჩარევა და ის კონკრეტული განცხადებები, რაც კეთდება. საქართველოში ზოგიერთ პოლიტიკოსს აქვს წამოცდენები, იგივე სანქციებთან დაკავშირებით. რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ეს პროცესები, განცხადებები, კიდევ უფრო გამძაფრდება. პირდაპირ დალაგებული აქვთ ყველაფერი – სად, როდის, ვინ უნდა გამოვიდეს, რა უნდა თქვას, რათა მაქსიმალურად დაეხმარონ ოპოზიციას, რომ როგორმე სახე შეინარჩუნონ, მოახერხონ და მიუახლოვდნენ საარჩევნო ბარიერს. ეს არის დღევანდელი მოცემულობა, რაც სამწუხარო და ძალიან ცუდია, რადგან არავის არ უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩაერიოს“, – განაცხადა კახა კალაძემ.**

მისივე შეფასებით, წინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, პარალელური დათვლის შედეგები გაყალბდა.

**„ეს რისთვის კეთდებოდა? იმისთვის, რომ ქვეყანაში არეულობა, დაძაბულობა მოეწყოთ. ეს პროცესები დღესაც გრძელდება, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რაც არ უნდა განცხადებები აკეთონ, აქ ჩამოვიდნენ და უშუალოდ ხალხთან დაიწყონ სიარული, რადიკალურ ოპოზიციას არაფერი ეშველება. რადიკალიზმი ყოველთვის განწირულია მარცხისთვის. ბოროტება ყოველთვის დამარცხდება ამ ქვეყანაში და გაიმარჯვებს მშვიდობა, კეთილდღეობა და ქვეყნის განვითარება“, – დასძინა თბილისის მერმა.**

# ქართული კულტურის რაინდი

## ბადრი ქუთათელაძე – 75



**75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბადრი ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ბატონო ბადრი!**

ჩვენო ძვირფასო, სიკეთისა და სიყვარულის მთესველო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზიის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, საზოგადო მოღვაწეს, რომელიც სრულად იხარჯება მამულის სამსახურში, მოგესალმებიან და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი 1976 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ დამატება „ირმის ნახტომში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. ასე დაიწყო თქვენი შემოქმედებითი გზა, რომელიც ლამის 50 წელია, რაც გრძელდება და ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, როგორ უნდა გედოს ხელი სამშობლო ქვეყნის მაჯაზე და როგორ უნდა უბერავდე სულს მისი არსებობის გახანგრძლივებას.

ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ეცნობა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „ეს ზამთარიც ჩაილია“, „სარკმელი“, „დრო რამდენი გასულა“, „შენზე მიოცნებია“, „დრო არ იძლევა უფლებას“, „პოეზია ასი წლის მერმე“. მათი ავტორი ხომ გულწრფელობით, სისადავით, სათქმელის ცხადად და ნათლად გამოხატვის უნარით გამოირჩევა და კიდევ: საოცრად მჭვირვალე, უფაქიზესი სევდა ლაიტმოტივად გასდევს მთელ თქვენს პოეზიას. დიახ, სევდიანი, ტკივილებით, დარდით და ნაღველით სავსე პოეზიის საუფლოს მკვიდრი ხართ, რომელსაც ძალუძს იმ ბეღურების სევდის თანაზიარი გახდეს, რუსთაველის გამზირზე, ილიასა და აკაკის ძეგლთან, ტკივილებს რომ კენკავენ და ეს უკვე მერამდენედ შეგვახსენებენ ამ გამზირის, ამ ქალაქის, ამ იგავმიუწვდომელი ქვეყნის ვაებით და ვარამით სავსე ისტორიას, სამი ათასი წლის წინ თუ უახლეს წარსულში რომ იწერებოდა...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე. ეს ლექსები შთაგონების წყაროდ იქცა არაერთი ქართველი კომპოზიტორისთვის, რომლებმაც მშვენიერი სიმღერები შექმნეს მათ მიხედვით. ისინი შესულია მრავალ პრესტიჟულ ანთოლოგიაში.

ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ, ერთი ლექსიც რომ არ დაგეწერათ, თქვენ მაინც დარჩებოდით ქართული ისტორიის, ხელოვნებისა თუ კულტურის ფოლიანტებში, როგორც გულანთებული ტრუბადური სრულიად საქართველოსი. ამის დასტურია თუნდაც ისეთი წიგნი, როგორიცაა „თბილისის ქანდაკება – პოეზია ქვაში“. ამ წიგნში აღნუსხეთ და სისტემაში მოიყვანეთ როგორც არსებული, ისე, სამწუხაროდ, დღეისათვის უკვე იავარქმნილი ძეგლები, მონუმენტები, ბიუსტები. ეს წიგნი ქმნის წანამძღვრებს ხელოვნებათმცოდნეობისათვის ქართული ქანდაკების გენეზისის, არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზის თუ ქართული ფენომენის დასადგენად.

სულ ახლახან ფართო საზოგადოების კუთვნილებად იქცა თქვენი მეორე წიგნი – მასშტაბური, ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემა „დიდუბის პანთეონი“, რომელიც უამრავი საინტერესო ფაქტით გააოცებს მკითხველს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ისტორიული წარსული.

ეს ორივე ნაშრომი უმნიშვნელოვანეს კულტუროლოგიურ მოვლენას წარმოადგენს და თქვენს ფართო თვალსაწიერზე, მრავალპლანიან, მრავალწახნაგოვან შემოქმედებით ინტერესებსა თუ პოტენციალზე მეტყველებს.

ათწლეულების განმავლობაში თბილისს ემსახურებოდით, როგორც კულტურის საქალაქო სამსახურის ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების დირექციის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. დიდი წვლილი დადეთ იმაში, რომ თბილისის ბევრ ქუჩას დიდი ქართველების სახელი დაერქვა. ამჟამად დიდუბის პანთეონის დირექტორი ბრძანდებით და დიდი სიყვარულით ელოლიავებით ქართული მწერლობისა და ხელოვნების კორიფეთა საფლავებს. სწორედ იმისათვის, რომ სხვათა ჭირისა თუ ლხინის გაზიარება და გულთან მიტანა შეგიძლიათ, საქართველოს მწერალთა ბოლო ყრილობაზე საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარედ აგირჩიეს. მტკიცედ გვწამს, რომ ამ თანამდებობაზეც ღირსეულად იღვაწებთ.

გვახარებს, რომ თქვენს ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ღირსების ორდენს – თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს ჯილდოს. მონიჭებული გაქვთ საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის რაინდისა და ამაგდარის საპატიო წოდებები, აგრეთვე რომის პაპის სამახსოვრო მედალი. არჩეული ხართ თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ძვირფასო ბადრი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დღეგრძელობასა და მზეგრძელობას მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## გთავაზობთ ბადრი ქუთათელაძის რამდენიმე ლექსს

### საქართველოს!

არ შემიძლია,
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!
ვალში ვართ შენთან,
ფარნავაზო,
მეფევ პირველო,
ათასეული
წლების მერე
უნდა გიმღეროთ...
ვალში ვართ შენთან
და სიშორე
აღარ გვაშინებს,
თითქოსდა ახლა
გიპოვეთ და
აღმოგაჩინეთ!
შორით გვიცქერის
დავით მეფე,
მეფე თამარი!
სიყვარულშია
ჩვენი ხსნა და
გამოსავალი...
აგერ, გაისმის
ლაფშა ცხენის
ტორთა თქარუნი,
ეს ცოტნე მოდის,
დადიანი –
და სიყვარული!
გვმოძღვრავს უბრალო,
წვეროსანი,
მღვდელი თევდორე...
თავისი ნებით
სისხლი ჩვენი
მამულს ვერ ტოვებს...
და ეს დრო ჩქარი
ჭირ-ვარამში
როგორ გავიდა,
სირცხვილი ჩვენი!
ძეგლი ახლა
უნდა დაგიდგათ...
არ შემიძლია
უტკივილოდ
შენ რომ გიყურო,
შინაურისგან
დაპყრობილო
და გაყიდულო!

* * *

მინდა იყო ჩემზე კარგად,
ჩემთან ერთად
და ჩემს შემდეგ!..
მე მიყვარხარ, კარგო მაგრამ
სიტყვა ვეღარ გაგიბედე...
გაზაფხულებს ვაგორებდი
ფიქრით, შენით
დანაფერით...
და ვიყავით ნაცნობები
თითქოს მეტი არაფერი!

* * *

ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონია...
ასი წლის მერე
დამანახა
მთაწმინდის
მთვარე!..
მტკვრის მოაჯირზე
ისევ ისე მდგომი
თოლია,
ასი წლის მერე!..
უფალო!
ერთი სურვილი
მაქვს,
არას ნუ მეტყვი,
ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონიე...
იყოს სხვა ხალხი,
სხვა მიზანი
და სხვა სულეთი...
ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონიე!..

### მარტვილს

რავქნა, თბილისმა გადამიბირა...
შემახო მისი ხელი გრძნეული...
და მე ყოველთვის,
როგორ მიკვირდა –
შენგან გაზრდილი ჩემი სხეულის...
ბოდიში, აბა რა სათქმელია,
ჩემი ბავშვობა შენში იღვიძებს...
და მე, ისევ იქ, შენში ვწერივარ...
ხომ არ გგონია, რომ დაგივიწყე!
ხომ არ გგონია, აღარ მახსოვხარ,
ხომ არ გგონია, წლებმა წამლეკეს...
შენთან დარჩენილ იმ ჩემს
ბავშვობას,
თვალის ცეცებით მე აქ დავეძებ!..
ხომ არ გგონია კონკსა და მარღამს
აქ დავიწყების მოედო ობი...
და მაგონდება ის მთები ახლაც...
ჩემი წინაპრის და ჩემი მშობლის!
ხომ არ გგონია?!...

### დედა

დედა აღარ მყავს,
დედის დღე
შემორჩენია
კალენდარს...
და რა ცოდვაა,
ვერ მიხვდე
დედის ლოცვას და
წვალებას!
წუხელ დედასთან
ვიყავი...
ღამე ჩვენ ერთად
ვათიეთ...
მან მითხრა –
დამილოცნიხარ,
შვილო, ყველაფერს
გპატიებ!

* * *

შენზე მიოცნებია,
სათქმელს ვეღარ
ვბედავდი.
ასე ჩუმად კვდებიან
ეს გრძნობები
თავნება...
ჩემი სახლის
ფანჯრიდან
შენს აივანს
ვხედავ და...
ამის შემდეგ სამყარო,
ჩემო კარგო,
თავდება!
შენზე მიოცნებია
ჩუმად,
ჩემთვის,
უთქმელად...
ეს ხომ ჩემი
გზებია
ოღრო-ჩოღროდ
სავალი.
უკვე ვეღარ
დავმალავ,
მინდა ვუთხრა
სუყველას,
მხოლოდ შენ ხარ
დღეს ჩემთვის,
მხოლოდ შენ ხარ
მთავარი!

* * *

სხეული თითქოს
კელაპტარია,
ბობოქრობს სული
და არ ცნობს ნაპირს
და მაინც ბოჭავს
სხეული გრძნობებს
და გვევლინება
უმწეო ბავშვად
სული.

### გზა

ჩვენ დავტოვეთ უკვე ქართლი,
აფხაზეთი – სამას ათი –
ტრაფარეტი გზებზე გვამცნობს,
ნატყვიარო ჩემო ქართლო,
გახლეჩილო გულო ჩემო,
უნდათ მოკვდე, ვერ იმღერო...
შენ კი მაინც აღარ დუმხარ,
ხვდები მტერს და ხვდები
სტუმარს...
მივდივართ და ტრაფარეტი
თან მომყვება შორიახლო...
აფხაზეთი,
აფხაზეთი,
ჩემი სულის სამოსახლო!
გზები ავ თვალს არ ენახვის,
გზები ისე მორთულია...
ვხედავ – აქეთ ცხინვალია,
იქით კიდევ – სოხუმია!
დევს ამ გზებზე სიცოცხლე და
დევს ამ გზებზე ის იმედი...
გზები რისი მაქნისია,
თუ ტაძრამდე ვერ მივედი?!..

# „ოქროს თვალი“ — დავით გუჯაბიძესა და გიორგი ხარებავას



**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ქართველ ოპერატორებს – დავით გუჯაბიძესა და გიორგი ხარებავას წარმატებას ულოცავს.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს თვალი“ (Golden Eye) მერაბ კოკოჩაშვილის ბოლო ნამუშევრის, „ტერცო მონდოს“, ოპერატორებს – დავით გუჯაბიძესა და გიორგი ხარებავას, გადაეცათ გრანპრი საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის.

ლეგენდარული ქართველი რეჟისორის ფილმი „ტერცო მონდო“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმი, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილმა აკა მორჩილაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღო, მისი ტრილოგიის ბოლო ნაწილია.

ეროვნული კინოცენტრი ულოცავს ფილმის ოპერატორებს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ მნიშვნელოვან მიღწევას და მომავალშიც წარმატებებს უსურვებს!

# თუ ასე გაგრძელდა, ევროპის ეკონომიკა ჩამოიშლება!



მარიო დრაგი

**იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა მარიო დრაგიმ ევროპის ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების საექსპერტო დასკვნა წარმოადგინა. ნაშრომის პრეზენტაციას ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ-დერ-ლაიენი დაესწრო. მან დრაგის შარშან დაავალა ამ საპასუხისმგებლო დოკუმენტის მომზადება. რატომ მაინცდამაინც დრაგის? იმიტომ, რომ, როცა ის ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი იყო, ევროპამ ფინანსური კრიზისი დაძლია. დრაგის კი ევროზონის გადამრჩენელი უწოდეს.**

**400-გვერდიანი დოკუმენტის მომზადებაში დრაგის ევროპის წამყვანი ეკონომისტები ეხმარებოდნენ. პირველ ნაწილში განხილულია ევროპის ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა. მეორეში კი, ეკონომიკის გაძლიერების გეგმაა წარმოდგენილი. დოკუმენტის სათაურიც ბევრის მთქმელია: ევროპის კონკურენტუნარიანობის მომავალი.**

ანგარიშიდან ირკვევა, რომ ევროპის ეკონომიკა კრიზისშია. ის ამერიკისა და ჩინეთის ეკონომიკას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. საძირკველი, რომელზეც გაერთიანებული ევროპა ავაშენეთ, ირყევა, ნათქვამია ანგარიშში. ექსპერტების აზრით, ევროპის ეკონომიკა, უკვე, 20 წელია, რაც შენელდა. მართალია, პრობლემის დასაძლევად ეკონომიკის გამაჯანსაღებელი სხვადასხვა გეგმა განხორციელდა, მაგრამ ტენდენცია იგივე დარჩა. ამის მთავარი მიზეზი გაზრდილი ენერგოტარიფები და მუშახელის გაძვირებაა, რის გამოც საქონლის წარმოება ძვირი ჯდება. რუსეთთან დაპირისპირების გამო, ევროპას აღარ აქვს იაფიან ენერგორესურსებზე წვდომა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ევროპა კონკურენტებს მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ჩამორჩება. მაგალითად, მსოფლიოს 50 უმსხვილესი ტექნოლოგიური კომპანიიდან მხოლოდ ოთხია ევროპული. ევროკავშირში ინოვაციები ვეღარ ინერგება გაზრდილი ბიუროკრატიის გამო. ექსპერტების აზრით, ასე თუ გაგრძელდა, ევროპის ეკონომიკა ჩამოიშლება. ჩვენ არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან მსოფლიო ლიდერების სიაში დავრჩებით, ან საშუალოდ შეძლებულ ქვეყნებს შორის მოგვიწევს ყოფნა1

კრიზისიდან გამოსავალს დრაგი რადიკალური რეფორმების გატარებაში ხედავს. მისმა ჯგუფმა კონკრეტულად გაწერა, თუ რა რეფორმები სჭირდება ევროპას. პირველ რიგში, ევროკავშირის მმართველობაში უნდა მოხდეს გარდაქმნა. კერძოდ, გადაწყვეტილებათა მიღება უნდა აჩქარდეს და ნაკლებად ბიუროკრატიული იყოს, რაც ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებსაც ეხება. ეკონომიკის გასაჯანსაღებლად მაღალ ტექნოლოგიებსა და განახლებადი ენერგიის წარმოებაში მსხვილი ინვესტირება უნდა მოხდეს, რაც ენერგორესურსებისა და მუშახელის გაიაფებას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, მრეწველობის სფეროში უნდა გაიზარდოს სუბსიდიები, თუმცა, გარღვევისთვის მაღალ ტექნოლოგიებში მხოლოდ ინვესტიციები არ კმარა. დრაგის აზრით, ევროკავშირმა ამ სფეროში მოღვაწე კომპანიებს ოპტიმალური გარემო უნდა შეუქმნას. პირველ რიგში, უნდა შემსუბუქდეს ევროპის ხისტი რეგულაციები.

დრაგის ანგარიშზე მომენტალური რეაგირება მოახდინა ილონ მასკმა: კრიტიკა ზუსტია; არასაჭირო რეგულაციების გაუქმებით ევროპაში ეკონომიკის ზრდა აღდგება, დაწერა ილონ მასკმა სოცმედიაში. ყველაზე მძიმე საკითხია ინვესტიციების მოძიება. დრაგის აზრით, ევროპამ ყოველწლიურად 800 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტირება უნდა მოახდინოს. ამისთვის კი, ვალი უნდა აიღოს და შესაბამისი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები გამოუშვას, თან, ვალზე პასუხისმგებლობა ყველა წევრი ქვეყანის საერთო ვალდებულება უნდა იყოს. ეს კი ევროპაში ტაბუს დარღვევას ნიშნავს. შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნები, უკვე დიდი ხანია, ვალის გაერთიანებას ითხოვენ, რასაც ისეთი მოწინავე ქვეყნები ეწინააღმდეგება, როგორიც გერმანია და საფრანგეთია, რადგან ვალი ყველაზე მეტად მათ დააწვება. ანგარიშის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში გამოჩნდა, რომ საკითხის ასე გადაწყვეტა რთული იქნება. დრაგის პროექტი კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა. მან ევროპა დილემის წინაშე დააყენა. ევროპის გაძლიერებისთვის, წევრმა ქვეყნებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ. კავშირის მართვა კი, საერთო ძალებით უნდა მოხდეს. **წარმოიშვა ევროპის განვითარების ორი განსხვავებული ხედვა: ან, ასე ვთქვათ, ევროპის შეერთებული შტატები, ან ევროპის სუვერენული ქვეყნების კავშირი. საკითხთან დაკავშირებით აზრები გახლეჩილია.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

## საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი
## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
## არბიტრაჟის სახელით
## საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №1-2024

ქ. თბილისი — 24 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრმა თეა ხამხაძემ, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის და უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

### გამოვარკვიე:

საქართველოს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელით მომართა შპს „მარგიმ“ შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნათ მოპასუხეებს, მაგრამ არასრული მისამართის გამო ვერ ჩაბარდათ. მათ რეაგირება არ მოახდინეს ფოსტის კურიერის სატელეფონო შეტყობინებაზე და გზავნილების ჩასაბარებლად არ მივიდნენ ფოსტის სერვისცენტრში.

საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეებს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე, ასევე საარბიტრაჟო სხდომის თარიღის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

### სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

### დავადგინე:

1. მოპასუხეებს შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის წარმოებაშია შპს „მარგის“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

### სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს შპს „მარგის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 12557.50 ლარის და პირგასამტეხლოს 5414.86 ლარის, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდა.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 15 ოქტომბერს, 17:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

4. შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრი თეა ხამხაძე, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს განემარტოთ, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს „**NEW GEORGIA**“-ს და ლერი მახარაძეს განემარტოთ, რომ საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2011 წლის 25 თებერვალს.

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

# ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 51.7%-ით შემცირდა.

**თუ 2023 წლის 6 თვეში ევროპის 27 ქვეყანაში თავშესაფარი 12 240-მა ქართველ-მა მოითხოვა, წელს ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 5 915-მდე შემცირდა.**

EU-ს თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებზე მომუშავე სააგენტოს ბოლო, 2024 წლის ივნისის მონაცემებით, თავშესაფარს საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში ითხოვდნენ. 6-თვიან პერიოდშიც სწორედ ეს ქვეყნები ლიდერობდნენ. უფრო კონკრეტულად, 2024 წლის იანვარ-ივნისში საფრანგეთში თავშესაფარი საქართველოს 1 635-მა მოქალაქემ ითხოვა (2023 წლის 6 თვეში – 3 310); იტალიაში – 1 500-მა (2023 წელს – 1 705) და გერმანიაში 1 395-მა (2023 წელს 5 155).

2024 წლის ივნისის მონაცემებით, ევროკავშირის 27 ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოს 900-მა მოქალაქემ მოითხოვა. აქედან: საფრანგეთი – 280, იტალია – 220, გერმანია – 195, ბელგია – 70, ირლანდია 45, ესპანეთი – 35, საბერძნეთი – 20, ავსტრია – 20, შვეიცარია – 20, ნიდერლანდები – 5, შვედეთი – 5.



# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ინგა რუხაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ინგა რუხაძე (პ/ნ 01015006580), თბილისი, ბეთლემის ქუჩა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. მცხეთა, ქუჩა კახეთის (საკადასტრო კოდი: 72.07.02.856)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38441.79 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 25 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 9 ოქტომბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102087724;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1020877

6. **მოვალე:** ინგა რუხაძე (პ/ნ 01015006580), თბილისი, ბეთლემის ქუჩა №15;
შპს „იკა მოტორს“ (ს/ნ 406076053), თბილისი, 3 მასივი, 10 კვ, კორპ. 11, ბინა 1;
მარინე ლომიძე (პ/ნ 13001033199), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-19 ქ. №119;
შპს „ინგა+4“ (ს/ნ 404577196), თბილისი, ბეთლემის ქუჩა №15;
მარიამ ნატროშვილი (პ/ნ 01027070264), თბილისი, 3 მასივი, 10 კვ, კორპ. 11, ბინა 1;
შპს „ავტონატრო“ (ს/ნ 427741786), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-19 ქ. №119;
იოსებ ნატროშვილი (პ/ნ 01013025997), თბილისი, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპ. 335, ბინა 105

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102087724; ლოტის ნომერი: 1020877).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 9 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გარდაბანი, ყოფილი წყალკანალის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 81.15.01.563)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44245.43 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 25 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 9 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102087524;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1020875

6. **მოვალე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102087524; ლოტის ნომერი: 1020875).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 9 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41090.64 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 25 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 4 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102087624;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1020876

6. **მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102087624; ლოტის ნომერი: 1020876).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 4 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

უნივერსალი

# კალმოსან – ოლიმპოსანი

**ბატონ ემზარ ზენაიშვილზე ადრეც ბევრი მსმენოდა, მაგრამ მისი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა გამორჩეულად მაშინ დავაფასე, როცა სამაგალითო მოქართულესთან – ვაჟა დანელიასთან და თავისსავე დისწულთან – ძველ სარბიელელ კახა ბერიძესთან თანამშრომლობით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ოლიმპიური ჩანართის ციკლს ჩვეული ჯიგრით უძღვებოდა.**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და დაწმენდილი ქვიშანი დარჩნენ კიდეც, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ უკვე 80 წლის ჩოჩხათელ გურულს საიუბილეო თარიღი ისტორიული სპორტული მოვლენებით დახუნძლული საამაყო სეზონის გამო მცირეოდენი რაჭული დაგვიანებით შემდეგი სტრიქონებით მივულოცო: **„ზენაიშვილი ემზარი, ღვაწლით ნამდვილი ცეზარი, სეოკ-ის დამფუძნებელმა, ხუთ რგოლს შემოჰკრა მან ზარი“.**

დიახ, დამოუკიდებელი სამამულო ოლიმპიური მოძრაობა იმ პიროვნებასთან ასოცირდება, რომელსაც ბრძენთა თამაშის მარადიულმა დედოფალმა **ნონა გაფრინდაშვილმა** უღალატო კაცი უწოდა, ხოლო ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ყოფილმა თავკაცმა **პატრიკ ჰიკმა** ასე შეამკო: **„ბედნიერები ხართ, რომ ქართულ სპორტს ისეთი თავდადებული მუშაკი, ქვეყნის პატრიოტი, მშრომელი და ღირსეული მამულიშვილი ჰყავს, როგორიც ემზარ ზენაიშვილია. ჭეშმარიტი სპორტის კაცი, თავმდაბალი და ყურადღებიანი კოლეგა“.**

მართალია, სკოლის მერხიდანვე ჟურნალისტობაზე ოცნებობდა, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე აღმოჩნდა და საბრძოლო ნათლობა ავღანეთში თარჯიმნად მუშაობის დროს მიიღო, რაც გასახსენებლად არც უნდა, თუმცა მოგვიანებით მაინც აიხდინა ბავშვობის გულისწადილი და უკვე კარგა ხანია ჩვენი მისაბაძი უდიპლომო თანამოკალმე გახლავთ. მანამდე კი...

უცხოეთიდან დაბრუნებულმა სხვადასხვა თანამდებობებზე მოსინჯა შესაძლებლობები, სპორტში კი მაშინდელი სასპორტო საზოგადოება შევარდენის ლიდერის, სულმნათი **ვაჟა შუბლაძის** წინადადებით შეაბიჯა, რომელმაც თავისი მოადგილეობა ანდო.



სხვათა შორის, ოლიმპიურ მოძრაობაშიც ბატონი ვაჟას რეკომენდაციით ჩაება და ჯერ საინიციატივო კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე წამოაყენა ნონა გაფრინდაშვილის პირველ პრეზიდენტობაზე კანდიდატურა, ხოლო შემდეგ მის დასაყოლიებლად წარმოებულ მოლაპარაკებებში უკვე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მეუღლის – **ლერი ჭიჭინაძის** თანადგომით შეიტანა გადამწყვეტი წვლილი. მას შემდეგ 35 წელიწადია სეოკ-ის გენერალური მდივანი მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს და სამშობლოს ერთგულად მსახურების ნიმუშად გვევლინება.

და ბოლოს: დავუბრუნდეთ ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მრავალი პუბლიკაციის, აგრეთვე რამდენიმე წიგნის ავტორისა და რედაქტორის ახდენილ ოცნებას: სტუდენტობისას ყოველ დილით 6 საათზე ლელოს, თბილისისა და სოფლის ცხოვრების შესაძენად გაზეთების ჯიხურთან იდგა რიგში, შემდეგ იყო რეპორტაჟების სერია ზემოთ ნახსენები ავღანეთიდან და სტატიები პოლიტიკურ თემაზე, სარბიელმა და ლელომ კი მწვანე შუქი აუნთეს „მაპროფილებელ“ ასპარეზზე დასამკვიდრებლად: რეპორტაჟები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებიდან ფეხბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, ფიგურულ სრიალში, ბატუტზე ხტომაში, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებიდან, ინტერვიუები სპორტისა და ოლიმპიზმის ლეგენდებთან, უიმბლდონზე, როლან გაროსზე, ამერიკის ღია პირველობაზე უამრავჯერ დასწრება...

დაგვეთანხმებით, ასეთ მსუყე სადარბაზო ბარათს ბევრი ინატრებს. ჯერ სადა ხართ – სისხლსავსე სპორტულ-ოლიმპიური სიცოცხლე გრძელდება.

მრავალჟამიერ, ძვირფასო ბატონო ემზარ!

**გია პლატონიშვილი**

ლეგიონერი

# ლუკას 17 ელადური



**საბერძნეთის სუპერლიგის მე-5 ტურში „პანსერაიკოსი“, სადაც ლუკა გუგეშაშვილი თამაშობს, ათენის „პანათინაიკოსთან“ სტუმრად 1:3 დამარცხდა, მაგრამ ქართველ მეკარეს 17 მოგერიება ჰქონდა!**

ჩვენებურს გაშვებულ გოლებში ბრალი არ მიუძღვის, თავისი გუნდი კი არაერთხელ იხსნა. „პანსერაიკოსი“ ახლოს იყო ქულის მოპოვებასთან, თუმცა 81-ე და 88-ე წუთებზე ლუკას კარში ფილიპ ჯურიჩიჩმა ორჯერ გაიტანა და „პანამ“ გაიმარჯვა. გუგეშაშვილმა ამ შეხვედრაში 9.4-ქულიანი შეფასება დაიმსახურა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

„პანსერაიკოსი“ ხუთი ტურის შემდეგ ერთადერთი ქულით ბოლო, მე-14 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 30 სექტემბერს, „ლამიას“ ესტუმრება.

ორიოდე სიტყვით

**ჩოგბურთი**

**შარმ ელ შეიხი** (ეგვიპტე). ქალთა 15 ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. **პირველი ადგილი** – ზოზია ქარდავა. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ დაამარცხა სერბი, აზერბაიჯანელი, სლოვაკი, მასპინძელი და ფინალში – ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტი შვედი მეტოქეები.

**ქვიშის ჭიდაობა**

**კატერინა პერია** (საბერძნეთი). მსოფლიოს ასაკობრივი 17-წლამდელთა ჩემპიონატი. 70 კგ. ძმათა ქართული ფინალი. **ოქრო.** ანრი გოგუაძე. **ვერცხლი.** კობა გოგუაძე.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

**ერევანი.** 23-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები – 9 მედალი (3, 2, 4). **ოქრო** – ნიკა ბროლაძე (67), ანრი ფუტკარაძე (77), ლუკა გაბისონია (97). **ვერცხლი** – დიეგო ჩხიკვაძე (72), ზურაბ მელაძე (87). **ბრინჯაო** – თორნიკე მიქელაძე (82), იაგო გობაძე (87), ლაშა ბოლქვაძე (97, ყველა – აჭარა), საბა ჩილაშვილი (მძიმე წონა, ხაშური).

**თავისუფალი ჭიდაობა**

**ბუქარესტი.** 23-წლამდელთა ლადისლაუ სიმონის მემორიალი. საქართველოს ნაკრები – 8 მედალი (2, 3, 3). **ოქრო** – დავით ფაცინაშვილი (70), მერაბ სულეიმანაშვილი (97). **ვერცხლი** – ლუკა ჩხიტუნიძე (74) იანდრო მარგიშვილი (92), სოლომონ მანაშვილი (130). **ბრინჯაო** – ომარ გაზაშვილი (61), გიორგი შონია (65), გიორგი რომელაშვილი (92).

**პროფესიული კრივი**

**ლონდონის უემბლის სტადიონი.** 96 ათასი მაყურებელი. სუპერმძიმე წონა. ბრიტანულ ბრძოლაში დანიელ დუბუამ მე-5 რაუნდში ნოკაუტით მოუგო მანამდე რინგზე ნოკდაუნში 3-ჯერ გაგზავნილ ენტონი ჯოშუას და IBF-ის საჩემპიონო ქამარი დაიცვა. ეს მისი 22-ე გამარჯვებაა 24 ჩხუბში.



ლიდერი

# კვლავ – უტიტულოდ

**თორნიკე შენგელიას „ვირტუსი“ იტალიის სუპერთასის პრინციპულ ფინალში „ოლიმპია მილანოსთან“ დამარცხდა და სეზონი ტიტულით ვერ დაიწყო.**

არადა, ბოლონიელები მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ პირველი ტაიმის შემდეგ 11 ქულით იგებდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ეს უპირატესობა გაანიავეს. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, ოვერტაიმში კი „მილანომ“ 14:12 მოიგო და საბოლოოდ 98:96 გაიმარჯვა.

შენგელიამ 34 წუთში 17 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 13-დან 6 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

„ვირტუს ბოლონია“ იტალიის სერია A-ს პირველ ტურში 29 სექტემბერს სტუმრად „ტრაპანის“ დაუპირისპირდება.



ბრძენთა თამაში

# რაცა ვართ, ესა ვართ

**ბუდაპეშტში დასრულდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, სადაც ქალთა შორის პირველ ადგილზე ინდოეთი გავიდა 19 ქულით, მეორეზე კი ყაზახეთი 18 ქულით.**

საქართველოს ნაკრებმა 17 ქულა დააგროვა და III-VI ადგილები გაინაწილა შემდეგი ქვეყნის გუნდებთან ერთად: აშშ, ესპანეთი,სომხეთი და საქართველო.

სამწუხაროდ, დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენები მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.

ტექნიკური შედეგები: ნანა ძაგნიძე – 7 ქულა (10-დან) +4,8 სარეიტინგო ქულის მატება; ლელა ჯავახიშვილი – 4,5 ქულა(10-იდან) – 20,6 ქულა; ნინო ბაციაშვილი – 8 ქულა (10-იდან) +5,8 ქულა; ბელა ხოტენაშვილი – 6,5 ქულა (10-იდან) – 9,2 ქულა; სალომე მელია – 3 ქულა (4-დან) +0,1;

ვაჟთა ოლიმპიადაც ინდოელი მოჭადრაკეების სრული ჰეგემონიით დასრულდა. იქაურმა ნაკრებმა 21 ქულა დააგროვა და მთელი 4 ქულით გაასწრო კონკურენტებს. 17-17 ქულით ისინი შემდეგნაირად განაწილდნენ: 3.უზბეკეთი. 4.ჩინეთი, 5.სერბეთი, 6.სომხეთი.

საქართველოს ვაჟთა ნაკრები, რომელიც სასტარტო რეიტინგში 32-ე ადგილზე იყო განთესილი, მე-19 ადგილზე გავიდა.

ტექნიკური შედეგები: მიხეილ მჭედლიშვილი – 4 ქულა (9-იდან)+5,7 სარეიტინგო ქულის დანაკარგი; ნიკოლოზ კაჭარავა – 5 ქულა (8-იდან) +14,2 სარეიტინგო ქულის მატება; ლუკა პაიჭაძე – 8 ქულა (10-იდან) +29,2 ქულა; ბაადურ ჯობავა – 6,5 (10-იდან) +5,2; ლევან ფანცულაია – 4 (7-იდან)+5,2.

გარდა ამისა, ნანა ძაგნიძემ უნგრულ ფორუმზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ პირველ დაფაზე.



# გივი შაჰნაზარი

## ორი უძველესი ერის დიდი შვილი



**თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ხელოვნებამ და კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა.**

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გივი იაკობის ძე შაჰნაზარი.

გივი შაჰნაზარი ათწლეულების განმავლობაში ქართული მწერლობისა და ხელოვნების შუაგულში ტრიალებდა და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართული მწერლობის, თეატრისა და კინოს განვითარებაში...

გივი შაჰნაზარი დაიბადა 1933 წლის 23 აგვისტოს თბილისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1956 წელს დაასრულა.

მას შემდეგ გივი შაჰნაზარი ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის სომხური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული ეროვნებათშორისი ურთიერთობების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის წევრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადუბლიაჟო განყოფილების მთარგმნელი და ყველგან კაცთმოყვარეობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

**ლიტერატურული სამყარო გივი შაჰნაზარს იცნობდა, როგორც ორი მოძმე ერის – ქართველებისა და სომხების ღვიძლ შვილს, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში უებრო მაგალითს იძლეოდა იმისა, თუ რა ფაქიზად უნდა უვლიდე ამ ორი უძველესი ერის მეგობრობასა და ძმობას, როგორ უნდა უგერავდე სულს ამ ურთიერთობების განმტკიცებას, როგორ უნდა ამდიდრებდე ყოველივე ამას ახალი წახნაგებითა და ფერადებით. და ამ მხრივ თუ ვინმესთან შეიძლებოდა მისი შედარება, ეს საიათნოვა იყო, ამიერკავკასიელი ხალხების ჭეშმარიტი ტრუბადური, რომლის სულიერ მემკვიდრედაც სრულიად სამართლიანად მიგვაჩნდა ეს ბრწყინვალე შემოქმედი.**

გივი შაჰნაზარის მწერლური ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნდა დიდი სომეხი პოეტის მიქაელ ნალბანდიანის პოეზიის მისეული თარგმანები.

მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო სომხური პოეზიის ქართულ ენაზე ამეტყველებას. ნარეკაცი, ქუჩაკი, ოვანეს თუმანიანი, ავეტიქ ისააკიანი, ვაჰან ტერიანი, ეღიშე ჩარენცი, ამო საჰიანი, პარუირ სევაკი, ოვანეს შირაზი, სილვა კაპუტიკიანი, სონა ვანი, ვაჰაგნ დავთიანი ის პოეტები არიან, ვისი შემოქმედებაც სწორედ ბატონი გივის შესანიშნავი თარგმანებით გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისთვის.

ზემოთ საიათნოვა ვახსენეთ და უნდა ითქვას, რომ მისი სომხური ლექსების ქართული თარგმანები, სამ გამოცემას რომ გაუძლო, გივი შაჰნაზარის მთარგმნელობითი ძალმოსილების აპოთეოზს წარმოადგენდა, ამავე დროს ჩინებულად თარგმნა ალექსანდრ პუშკინის, ანდრეი ბელის, ბორის პასტერნაკის, მიხეილ დუდინის, ბელა ახმადულინას შემოქმედების ცალკეული ნიმუშები.

გივი შაჰნაზარის მიერ ქართულად თარგმნილი პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. მათ შორის აღსანიშნავია კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“, იოჟეფ კატონას „ბანკ-ბანი“, იოჰან ვოიტილას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“...

მრავალი წელი იღვაწა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, როგორც სადუბლიაჟო განყოფილების მთარგმნელმა და ასზე მეტი ფილმი თარგმნა ქართულად.

**გივი შაჰნაზარის მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი ღვწა და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული იყო დავით აღმაშენებლის ოქროს მედლით, თბილისის ერთგულებისა და ღირსების ორდენებით, სომხეთის მოვსეს ხორენაცის სახელმწიფო მედლით, მინიჭებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ივანე მაჩაბლის, ეღიშე ჩარენცის, ფრიტიოვ ნანსენის საერთაშორისო, „საგურამოს“, ჯემალ აჯიაშვილის სახელობისა და „საბას“ პრემიები. არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ.**

ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, გივი შაჰნაზარი სიყვარულის, მეგობრობის, თანადგომის ნორმასა და ნიმუშს წარმოადგენდა.

მისი ნათელი ხსოვნა, ხსოვნა შემოქმედისა, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში, დიდხანს დარჩება ჩვენს მახსოვრობაში.

### საქართველოს მწერალთა კავშირი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ცნობიერების დიდი სომეხი შემოქმედი, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველი ავტორი, შესანიშნავი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის ოქროს მედლის, თბილისის ერთგულების და ღირსების ორდენის მფლობელი, საპატიო თბილისელი, უზადო მთარგმნელი და ქართული ენის მესაიდუმლე**

**გივი შაჰნაზარი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ქართველ და სომეხ მწერლებს, სრულიად საქართველოს და სომხეთის შემოქმედებით ინტელიგენციას.**

# იგარ ფეტვიაშვილი

## ხსოვნა და უკვდავება ნათელი სულისა



ძალიან ძნელია სიტყვების მოძებნა იმ მწუხარების გადმოსაცემად, რომელიც ეხება ცხოვრებიდან უდროოდ წასულ მეგობარს, დიდებულ პროფესიონალსა და შესანიშნავ პიროვნებას – **იგარ ფეტვიაშვლს.**

დაიბადა 1954 წლის 18 თებერვალს თიანეთში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს პროკურატურაში 1979 წელს დაიწყო და სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა – რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატში, ასევე რაიონის და ქალაქის პროკურატურაში. 1983 წლიდან იყო ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის პროკურორი, შემდეგ ქ. ქუთაისის პროკურორის მოადგილე, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორი, ხოლო ბოლოს სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორი. მინიჭებული ჰქონდა იუსტიციის მრჩევლის სპეციალური წოდება.

იგარ ფეტვიაშვილს სამსახურებრივი მოვალეობის განსაკუთრებულად კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულად შესრულებისათვის 2021 წელს საქართველოს „პროკურატურის საპატიო თანამშრომლის წოდება მიენიჭა“.

იგარ ფეტვიაშვილი შესანიშნავი ქართული ოჯახის ბურჯი და მეთაური იყო, შესანიშნავი შვილების მამა, რომელთა ულევი სიყვარული თან გაჰყვა მას ამ წუთისოფლიდან.

ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა განსახორციელებლად, მაგრამ ვერაგმა სენმა ძალზე ნაადრევად – 70 წლის ასაკში შეწყვიტა მისი გულის ძგერა.

უმძიმესი და გაუსაძლისია მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც კი ახლოს იცნობდა მას. იგარ ფეტვიაშვილის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**სამეგობრო**

## სანთელი



საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის

**ნორა სამიშკინას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ბრმა ტყვიას ემსხვერპლა

**სიღნაღში, ქედელის დასახლებაში ბრმა ტყვიას 52 წლის კაცი ემსხვერპლა.**

არსებული ინფორმაციით, ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა ბრალდებული სტუმრებს მასპინძლობდა და სანადირო თოფით ფრინველის მოკვლას ცდილობდა, თუმცა ტყვია შემთხვევით მის მეგობარს მოხვდა!

# უკრაინულმა მხარემ მამულაშვილი სიმულაციაში ამხილა!

**პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ლევან მაჭავარიანი უკრაინაში მებრძოლის, „ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელის შესახებ უკრაინული გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეხმაურება.**

საუბარია **Ukraine Today**-ის სტატიაზე, სადაც ნათქვამია, რომ უკრაინაში მებრძოლმა **მამუკა მამულაშვილმა** საკუთარი მოწამვლის ამბავი მოიგონა, რათა შემოწირულებები მიეღო.

„უკრაინულმა მხარემ ეს პიროვნება [მამუკა მამულაშვილი] ამხილა იმასთან დაკავშირებით, რომ ის იყო ზუსტად იგივე ტიპის სიმულაციით დაკავებული, რა სიმულაციაც ჩვენ თავს მოგვახვია ბატონმა სააკაშვილმა 2 წლის განმავლობაში; თითქოს ისიც მოწამლული იყო, კვდებოდა და სჭირდებოდა რაღაც თანხები სამკურნალოდ. სხვათა შორის ის ფონდი, რომელიც მან დააარსა, პარტნიორად ვინც ჰყავს შემოყვანილი, ეს პიროვნებაც (რიჩარდ შარპი) თაღლითობისთვის არის ნასამართლევი. შესაბამისად, ეს ჩვეულებრივი თაღლითური გეგმა იყო და ეს პიროვნებაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმოდგენილია. ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ მათი დღის წესრიგი დგას მთლიანად ტყუილზე, სიმულაციაზე“, – აღნიშნა დეპუტატმა.



# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ბატერფილდის“ მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 550 მგვტ. სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის, 35 კვ მიწისქვეშა კაბელის და 500 კვ ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 11 ოქტომბერი, 13:00 საათი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. გორელოვკას კულტურის სახლის შენობა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

## მეცნიერებმა კიბოს გამომწვევი ასობით ახალი გენი გამოავლინეს

**ახალ კვლევაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ასობით გენი, რომლებიც პოტენციურად ხელს უნდა უწყობდეს კიბოს.**

**კიბოს ძირითადად იწვევს გარკვეული ცვლილება ჩვენს გენეტიკურ კოდში, რომელიც ხელს უშლის უჯრედის მიერ საკუთარი თავის ზრდის მართვას. ხშირად ამ შეფერხებათა მიზანმიმართულმა მკურნალობამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს სიმსივნის კონტროლიდან გასვლა.**

დღეს ცნობილია 600-ზე მეტი გენი, რომლებიც სიმსივნეებს იწვევენ, როდესაც მუტაცია მათ მიმდევრობებს ურევს. თუმცა, კიბო შეიძლება სხვა გზებითაც გაჩნდეს გენის ტრანსკრიფციასა და მის საბოლოო პროდუქტს შორის გზაზე.

ამ დარგში წინა კვლევების უმეტესობა იკვლევდა თავად დნმ-ში მემკვიდრეობით მიღებულ პათოლოგიებს; ახალ კვლევაში კი შეისწავლეს პათოლოგიები, რომლებიც მაშინ ხდება, როცა დნმ-იდან ინსტრუქციები დანარჩენ სხეულში გადადის.

ბარსელონის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (BIST) მკვლევრებმა სათუთად შექმნილი ალგორითმების გამოყენებით მოძებნეს გენეტიკურ კოდში არსებული ის ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია ეგზონებთან — გენეტიკური მიმდევრობის ნაწილებთან, რომლებიც პირდაპირ ცილებად ითარგმნება.



გენის არამაკოდირებელი ნაწილები, რომლებსაც ინტრონებს უწოდებენ, როგორც წესი, ვარდება მაშინ, როცა ხდება გენის დნმ-ის ტრანსკრიფცია რნმ ვერსიად; ამ პროცესს რნმ-ის სპლაისინგს უწოდებენ. კიბოს უჯრედებს შეუძლია ხელი შეუშალოს სპლაისინგს და წარმოქმნას მუტირებული ცილები სხვა მხრივ ნორმალური, არამუტირებული ცილის გენისგან.

დახვეწილად აგებული ალგორითმების გამოყენებით, ჯგუფმა გამოავლინა 813 ისეთი გენი, რომლებიც სპლაისინგის შემთხვევაში ხელს უწყობს კიბოს ზრდას.

**ეს ახალი, ვრცელი კატეგორია აფართოებს კიბოს წამახალისებელ გენთა სიას; აქამდე არსებული მონაცემებით, ცნობილი იყო მხოლოდ 626 ისეთი გენი, რომლებიც მუტაციის შემთხვევაში სიმსივნეებს იწვევენ. უფრო მეტიც, ყველაზე ფართოდ გამოყენებად კიბოს მუტაციის მონაცემთა ბაზაში შედიოდა „სპლაისინგის" კლასის მხოლოდ მეათედი; ამ ბაზაში შეტანილია გენები, რომლებიც მუტაციის გზით იწვევენ კიბოს ზრდას.**

## დღეში მხოლოდ ერთიდან სამ ფინჯნამდე!

### მეცნიერებმა ყავის ახალი დადებითი თვისებები გამოავლინეს



**ახალი კვლევის თანახმად, დილის ფინჯან ყავას არა მარტო თქვენი გამოფხიზლება შეუძლია, არამედ კოფეინის ზომიერი მოხმარება – დღეში ერთიდან სამ ფინჯნამდე, კარდიომეტაბოლური დარღვევების განვითარების რისკებს, როგორიცაა გულის დაავადება, ინსულტი, დიაბეტი და ჰიპერტენზია – მინიმუმამდე ამცირებს.**

ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

კვლევის წამყვანი სპეციალისტის განცხადებით, ყავისა და კოფეინის მოხმარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დამცავი როლი ითამაშოს კარდიომეტაბოლური დაავადების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე.

კვლევის ფარგლებში, მეცნიერებმა 360 000-ზე მეტი ადამიანის მონაცემები გაანალიზეს.

## მარიანის ღრმულიდან მომდინარე საშინელი ხმების საიდუმლო 10 წლის შემდეგ ამოხსნილია

**მკვლევრებმა საბოლოოდ დაადგინეს იდუმალი ხმების წყარო, რომელიც მოდის ყველაზე ღრმა ოკეანის თხრილიდან. უცნაური ხმები (ბიოვანგი) ცოტათი ჰგავს ვარსკვლავური ხომალდების ხმებს სამეცნიერო ფანტასტიკის ფილმებიდან და სინამდვილეში არის ბრაიდის ვეშაპების ზარები.**

ვეშაპები ამ ხმებს ერთმანეთის ადგილმდებარეობის დასადგენად იყენებენ, ამბობენ მკვლევრები.

მეცნიერებმა პირველად უჩვეულო ხმები 2014 წელს აღმოაჩინეს.

მსგავსი ხმა შეიძლება დაიყოს ორ განსხვავებულ ნაწილად: პირველი, დაბალი, წუილის ხმა, რომელიც ჟღერს სიღრმეში. მეორე, მაღალი დონის მეტალის ზარის ხმა, რომელიც მკვლევრებმა შეადარეს კოსმოსური ხომალდების ხმებს Star Trek-სა და Star Wars-ში.

ამ ხმებმა თავდაპირველად მეცნიერები საგონებელში ჩააგდო. მაგრამ 2016 წელს მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ის სავარაუდოდ, იყო მსხვილი ვეშაპების მიერ გამოცემული ხმა. თუმცა, ეს ხმები არ ემთხვეოდა ვეშაპების მანამდე ცნობილ ხმებს.

ახალ კვლევაში მკვლევრებმა საბოლოოდ შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ამ ხმებს Bryde-ს ვეშაპები გამოსცემენ. ამ დასკვნის გაკეთებაში მათ ნაწილობრივ ახალი ხელოვნური ინტელექტი დაეხმარათ.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ამ ხმის მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთით.

## კრისტიან ბეილი ბავშვებისთვის სოფელს აშენებს!



**ოსკაროსან მსახიობს კრისტიან ბეილს ბეტმენის თუ ამერიკელი ფსიქოპათის როლში კარგად ვიცნობთ, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ის ფილანთროპია – ბეილი კალიფორნიაში უსახლკარო ბავშვებისთვის სოფელს აშენებს.**

ამ პროექტის შესრულება ბეილს უკვე 16 წელია სურს. ის საქველმოქმედო ორგანიზაციის Together California დამფუძნებელია, რომლის ინიციატივით თავშესაფრის მაძიებელ სისტემაში აღრიცხული ბავშვებისათვის 12 სახლი აშენდება. პროექტის მთავარი მიზანი იმ დედმამიშვილებისთვის ერთად ცხოვრების შესაძლებლობის გაჩენაა, რომელთაც სხვაგვარად ერთმანეთისგან დაშორება მოუწევდათ.

„Together California-ს მოდელით დაპროექტებული სოფელი სრულიად ახალი, ტრანსფორმაციული და ძალიან საჭირო რამაა. წარმოიდგინეთ მშობლების დაკარგვით გამოწვეული ყოვლისმომცველი ტკივილი და ტრავმა, რომელსაც ძმებისა და დების განცალკევების ტკივილიც ემატება. ბავშვებს ასე არ უნდა მოვექცეთ," — თქვა ბეილმა სოფლისთვის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიაზე.

პროექტი ლოს-ანჯელესის შემოგარენში მდებარე ქალაქში, პალმდეილში აშენდება. სოფელში 650 კვადრატული მეტრის ფართობის საჯარო ცენტრი, 12 სახლი და ორი სტუდიო ბინა აშენდება. როგორც ირკვევა, პროექტის ღირებულება 22 მილიონი დოლარი იქნება და მისი მშენებლობა 2025 წელს დასრულდება.

## ინსტაგრამი თინეიჯერებს მკაცრ შეზღუდვებს უწესებს!

**Meta თინეიჯერების უსაფრთხოებაზე ზრუნვას აგრძელებს და ამჯერად ინსტაგრამის ახალ ფუნქციას გვაცნობს – Teen Accounts ახალგაზრდებისთვის სოციალური მედიის გამოცდილებას მეტად უსაფრთხოს გახდის. კომპანიის**



**განცხადებით, მასში დამცავი მექანიზმები იქნება ჩაშენებული, რომელიც 18 წლამდე მომხმარებლებისთვის ავტომატურად გააქტიურდება. Teen Accounts-ს ასევე მოიცავს კონფიდენციალურობის პარამეტრებსაც, რომლის საშუალებითაც მომხმარებლები თავად გააკონტროლებენ, თუ ვის და რა რაოდენობით შეეძლებათ მათთან ინტერაქცია.**

თინეიჯერებს შეეძლებათ, თავად გადაწყვიტონ, ახალი მიმდევრები დაიმატონ თუ არა, ხოლო უცხოები ვერც მათ პოსტებს ნახავენ და ვერც შეტყობინებას გაუგზავნიან. მიზანი არასასურველი კონტაქტისა და ონლაინ ჩაგვრის თავიდან აცილებაა, რასაც ახალგაზრდა აუდიტორიისთვის უსაფრთხო გარემომდე მივყავართ.

ბავშვების უსაფრთხოებაში როლს მშობლებიც ითამაშებენ. 16 წლამდე პირებისთვის კონფიდენციალურობის პარამეტრებში ცვლილება მხოლოდ მშობლის თანხმობით იქნება შესაძლებელი. ამიტომ ინსტაგრამმა დამატებითი ხელსაწყოები შემოიტანა, რომელიც მშობლებს ბავშვების აქტივობებზე თვალყურის დევნებისა და ეკრანთან გატარებული დროის შეზღუდვის საშუალებას მისცემს.

თუ იმაზე გეფიქრებათ, რომ მოზარდები ინსტაგრამის ანგარიშში ყალბ ასაკს შეიყვანენ, გეტყვით, რომ მას უკვე აქვს ასაკის გადამოწმების ფუნქციონალი, რაც ინდივიდის წლოვანების ვიდეოსელფით ან ID-ით დადასტურებას მოიაზრებს.

## ჩინეთის ზოოპარკში ძაღლებს პანდებად ასაღებდნენ

**ჩინეთის ზოოპარკის დამთვალიერებლები აღშფოთებულები არიან მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ ე.წ. „პანდები", რომლის სანახავადაც ზოოპარკს სტუმრობდნენ, სინამდვილეში მოხატული ძაღლები აღმოჩნდნენ.**

მედიის ცნობით, მოტყუებულმა სტუმრებმა თაღლითობის შესახებ მას შემდეგ გაიგეს, როდესაც ერთ-ერთმა პანდამ ძაღლივით ყეფა დაიწყო.

ზოოპარკი თავდაპირველად თავის მართლებას ცდილობდა და ამტკიცებდა, რომ ცხოველები უბრალოდ „პანდა ძაღლების" ჯიშს მიეკუთვნებიან.

ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მნახველებმა გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოითხოვეს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ჩინეთის ზოოპარკი დამთვალიერებელს ატყუებს და ეს ადრეც გაუკეთებიათ.

კითხვაზე, თუ რატომ ცდილობდნენ სტუმრების მოტყუებას, ზოოპარკის წარმომადგენელმა განაცხადა: „ზოოპარკში პანდა დათვი არ არის და გვინდოდა ასე მაინც გვყოლოდა."



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7249; ევრო - 3.0290;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6249;**
**100 რუბლი - 2.9278; თურქული ლირა - 0.0798;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6022;**
**1000 სომხური დრამი - 7.0275.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 27 სექტემბერს**